უდიურში დასტურდება როგორც მარტივი, ისე რთული (თხზული) რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მარტივ რიცხვით სახელებს მიეკუთვნება: სა “ერთი”; პა’ “ორი”; ხიბ “სამი”; ბიპ “ოთხი”; ვო “ხუთი”; უჯ’ “ექვსი”; ვუღ’ “შვიდი”; მუღ’ “რვა”; ვუღ “ცხრა”; ვიწ “ათი”; ბაჩ’ “ასი”; პაზარ “ათასი”; მიღღონ “მილიონი”; მიღღიარდ “მილიარდი”. თერთმეტიდან ცხრამეტის ჩათვლით რიცხვითი სახელები მიღებულია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ეს სახელები შედგენილია ამდაგვარად: წინ ერთვის ერთეულების აღმნიშვნელი სახელები, შემდეგ ვიწ “ათი” და *სა > სე “ერთი”:

*სა-ვიწ-სა > *სა-ვიწ-სე > სა-წ-სე > სა-წ-წე “თერთმეტი”;

*პა’-ვიწ-სა > *პა’-ვიწ-სე > პა’-წ-სე > პა’-წ-წე “თორმეტი”;

*ხიბ-ვიწ-სა > *ხიბ-ვიწ-სე > ხიბ-ეწ-სე > ხიბ-ეწ-წე “ცამეტი”...

ოცეულებისა და ათეულების წარმოების თვალსაზრისით კილოების მიხედვით დასტურდება სხვადასხვაგვარი ვითარება: ვართაშნულში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ოცეულების აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადო რიცხვითი სახელი და სიტყვა ყა//ყო “ოცი” – პა’-ყო “ორმოცი” (“ორი” + “ოცი”); ხიბ-ყო “სამოცი” (“სამი” + “ოცი”); ბიპ-ყო “ოთხმოცი” (“ოთხი” + “ოცი”); 30, 50, 70 და 90 ლექსემების აღსანიშნავად გამოყენებულია სათანადო ოცეულები და სიტყვა ვიწ “ათი”: სა-ყო-ვიწ “ოცდაათი” (“ერთი ოცი” + “ათი”); პა’-ყო-ვიწ “ორმოცდაათი” (“ორი ოცი” + “ათი”); ხიბ-ყო-ვიწ “სამოცდაათი” (“სამი ოცი” + “ათი”); ბიპ-ყო-ვიწ “ოთხმოცდაათი” (“ოთხი ოცი” + “ათი”).

ნიჯურ კილოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვლის ოცობითი სისტემა მოშლილია. ათეულების აღსანიშნავად გამოყენებულია აზერბაიჯანულიდან

ნასესხები რიცხვითი სახელები: იდირმი “ოცი”; ოთუზ “ოცდაათი”; ყვრხ “ორმოცი”; ალლი “ორმოცდაათი”; ალთმიშ “სამოცი”; ედთმიშ “სამოცდაათი”; სჰქსჰნ “ოთხმოცი”; დოხსან “ოთხმოცდაათი”. გარდა ამისა, ნიჯურში დასტურდება საკუთარი წარმოების ათეულების აღსანიშნავი სახელები: ხიბ-ვიცა “ოცდაათი” (“სამი” + “ათი”); ბიფუ-ვიცა “ორმოცი” (“ოთხი” + “ათი”); ჳო-ვიცა “ორმოცდაათი” (“ხუთი” + “ათი”); უჳ-ვიცა “სამოცი” (“ექვსი” + “ათი”); ვუდ-ვიცა “სამოცდაათი” (“შვიდი” + “ათი”); მუდ-ვიცა “ოთხმოცი” (“რვა” + “ათი”); ვუდ-ვიცა “ოთხმოცდაათი” (“ცხრა” + “ათი”). ერთადერთი რიცხვითი სახელი, რომელიც თვლის ოცობითი სისტემის უქონლობის პირობებში ნიჯურს ნაშთად შემორჩა – არის პა-ყა “ორმოცი” (“ორი” + “ოცი”).

ასეულებისა და რაოდენობითი რიცხვითი სახელების წარმოება ერთგვარადაა წარმოდგენილი უდიური ენის ორივე კილოში

გაკვეთილი 23

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად

რიგობითი რიცხვითი სახელი

კრებითი რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი ნაცვალსახელისა და ზედსართავი სახელის მსგავსად იბრუნვის: მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელი არ იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, საზღვრული არ ეთანხმება რიცხვით სახელს რიცხვში:

სახელობითი	სა აღამარ	პა' აღამარ	ვიწ აღამარ
	“ერთი აღამიანი”	“ორი აღამიანი”	“ათი აღამიანი”
ერგატივი	სა აღამარ-ენ	პა' აღამარ-ენ	ვიწ აღამარ-ენ
ნათესაობითი	სა აღამარ-ი	პა' აღამარ-ი	ვიწ აღამარ-ი
მიცემითი	სა აღამარ-ა[ხ]	პა' აღამარ-ა[ხ]	ვიწ აღამარ-ა[ხ]

ზოგჯერ რიცხვითი სახელი ითანხმებს მსაზღვრულს [მრავლობით] რიცხვში, მაგ.:

სუბსტანტივად გამოყენებულ რიცხვით სახელს დაერთვის -თ სუფიქსი: სო < სო-თ < სა-თ “ერთი”; პო' < პო'-თ < პა'-თ “ორი”; ხიბ-თ “სამი”, ბიპ-თ “ოთხი” და ა.შ.

ვართაშნულში, ამასთან, რიცხვითი სახელისათვის “ერთი” გავრცელებულია ფორმა სუნ < *სა-უნ. ნიჯურში სახელობითში რიცხვითი სახელის ფუძეს ზოგჯერ დაერთვის -ჯა ან -ღო სუფიქსები: სა-ჯა, სო-ღო < სა-ღო “ერთი”; პა'-ჯა, პო'-ღო < პა'-ღო “ორი”...

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	სო-თ “ერთი”	სო-თ-რ	ხიბ-თ “სამი”	ხიბ-თ-რ
ერგ.	სოთ-ტ-ინ	სოთ-ტ-ღ-თნ	ხიბთ-ტ-ინ	ხიბთ-ტ-ღ-თნ
ნათ.	სოთ-ტ-ა[ღ]	სოთ-ტ-ღ-თ[ღ]	ხიბთ-ტ-ა[ღ]	ხიბთ-ტ-ღ-თ[ღ]
მიც.	სოთ-ტ-უ[ხ]	სოთ-ტ-ღ-თ[ხ]	ხიბთ-ტ-უ[ხ]	ხიბთ-ტ-ღ-თ[ხ]

აბლ.	სოთ-ტ-უნო	სოთ-ტ-დ-ოხო	ხიბო-ტ-უნო	ხიბო-ტ-დ-ოხო
კომიტ.	სოთ-ტ- უნოლ[ან]	სოთ-ტ-დ- ოხოლ[ან]	ხიბო-ტ- უნოლ[ან]	ხიბო-ტ-დ- ოხოლ[ან]
ადეს.	სოთ-ტ-უსტა	სოთ-ტ-დ-ოსტა	ხიბო-ტ-უსტა	ხიბო-ტ-დ-ოსტა
ალატ.	სოთ-ტ-უჭ	სოთ-ტ-დ-ოჭ	ხიბო-ტ-უჭ	ხიბო-ტ-დ-ოჭ
სუპერ.	სოთ-ტ-ულ	სოთ-ტ-დ-ოლ	ხიბო-ტ-ულ	ხიბო-ტ-დ-ოლ
კაუზატ.	სოთ-ტ- ენკ[ენა]	სოთ-ტ-დ- ონკ[ენა]	ხიბო-ტ- ენკ[ენა]	ხიბო-ტ-დ- ონკ[ენა]

რიგობითი რიცხვითი სახელი

რიგობითი რიცხვითი სახელები უდიური ენის ვართაშნულ კილოში იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაუფორმებელ ფუძეზე აზერბაიჯანულიდან ნასესხები -მ-ჯი, -უმ-ჯი, -უნ-ჯი.

ნიჯურ კილოში რიგობითი რიცხვითი სახელი, როგორც წესი, პირველი ჯგუფის (რთულ) სუფიქსთა მეშვეობით იწარმოება, ოღონდ შეინიშნება ფონეტიკური ხასიათის თავისებურებები, შდრ.:

	გართ.	ნიჯ.
“პირველი”	სა-მჯი; სუჭტჳ-უნჯი; სუჭტჳ-უმჯი; სუჭტჳ-უნ-ო	საჲ-უმჯი; საჲ-იმჯი; სუჭტ-ინ
“მეორე”	პა'-უნჯი; პა'-უმჯი; პა'-უნ-ო	ფა'ჲ-იმჯი
“მესამე”	ხიბ-უნჯი; ხიბ-უმჯი; ხიბ-უნ-ო	ხიბ-იმჯი
“მეოთხე”	ბიპ-უნჯი; ბიპ-უმჯი; ბიპ-უნ-ო	ბიფა-იმჯი
“მეხუთე”	კო-უნჯი; კო-უმჯი; კო-უნ-ო	კოჲ-იმჯი; კოჲ-მჯი
“მეათე”	ვიწ-უნჯი; ვიწ-უმჯი; ვიწ-უნ-ო	ვიცა-იმჯი
“მეასე”	ბაჩ'-უნჯი; ბაჩ'-უმჯი; ბაჩ'-უნ-ო	ბაჩ'-უმჯი; ბაჩ'-გმჯი

რიგობითი რიცხვითი სახელი მსაზღვრელ სიტყვად გამოყენებისას არ იცვლება:

სახ. სა-მჯი ადამარ	პა'-უმჯი ადამარ	ვიწ'-უმჯი ადამარ
“პირველი ადამიანი”	“მეორე ადამიანი”	“მეათე ადამიანი”
ერგ. სა-მჯი ადამარ-ენ	პა'-უმჯი ადამარ-ენ	ვიწ'-უმჯი ადამარ-ენ
ნათ. სა-მჯი ადამარ-ი	პა'-უმჯი ადამარ-ი	ვიწ'-უმჯი ადამარ-ი
მიც. სა-მჯი ადამარ-ა[ხ]	პა'-უმჯი ადამარ-ა[ხ]	ვიწ'-უმჯი ადამარ-ა[ხ]

რიგობითი რიცხვითი სახელი სუბსტანტივის ფუნქციით ზედსართავი სახელისა და ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის. სუბსტანტივად გამოყენებულ რიგობით რიცხვით სახელებში **-უნ** სუფიქსიანი წარმოება:

სახ. პა'-უნ-ო, პა'-უმჯი-ო	ხიბ-უნ-ო, ხიბ-უმჯი-ო
“მეორე”	“მესამე”
ერგ. პა'-უნ-ტ-ინ, პა'-უმჯი-ტ-ინ, პა'-უმჯი-ო-ტ-ინ	ხიბ-უნ-ტ-ინ, ხიბ-უმჯი-ტ-ინ, ხიბ-უმჯი-ო-ტ-ინ
ნათ. პა'-უნ-ტ-ა[ფ], პა'-უმჯი-ტ-ა[ფ], პა'-უმჯი-ო-ტ-ა[ფ]	ხიბ-უნ-ტ-ა[ფ], ხიბ-უმჯი-ტ-ა[ფ], ხიბ-უმჯი-ო-ტ-ა[ფ]
მიც. პა'-უნ-ტ-უ[ხ], პა'-უმჯი-ტ-უ[ხ], პა'-უმჯი-ო-ტ-უ[ხ]	ხიბ-უნ-ტ-უ[ხ], ხიბ-უმჯი-ტ-უ[ხ], ხიბ-უმჯი-ო-ტ-უ[ხ]

კრებითი რიცხვითი სახელი

კრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე -**ლ-ინ//ბ-ალ-ინ**, -**ლ-ენ//ბ-ალ-ენ** რთული სუფიქსის დართვით:

პა'-**ლ-ინ**//პა'-**ლ-ენ** “ორივე”, “ორივე ერთად”;

ხიბ-**ალ-ინ**//ხიბ-**ალ-ენ** “სამივე”, “სამივე ერთად”;

ბიპ-**ალ-ინ**//ბიპ-**ალ-ენ** “ოთხივე”; “ოთხივე ერთად”;

ვო-**ბ-ალ-ინ**//ვო-**ბ-ალ-ენ** “ხუთივე”, “ხუთივე ერთად”;

ვუფ-**ბ-ალ-ინ**//ვუფ-**ბ-ალ-ენ** “ცხრავე”, “ცხრავე ერთად”;

ვიწ-**ბ-ალ-ინ**//ვიწ-**ბ-ალ-ენ** “ათივე”, “ათივე ერთად”...

მხ. რიცხვი

სახ. პა'-**ლ-ენ-ო** “ორივე”,

“ორივე ერთად”

ერგ. პა'-**ლ-ენ-ტ-ინ**

ნათ. პა'-**ლ-ენ-ტ-ა**[ფ]

მიც. პა'-**ლ-ენ-ტ-უ**[ხ]

მრ. რიცხვი

პა'-**ლ-ენ-ო-რ**

პა'-**ლ-ენ-ტ-ღ-ონ**

პა'-**ლ-ენ-ტ-ღ-ო**[ფ]

პა'-**ლ-ენ-ტ-ღ-ო**[ხ]

წილადი რიცხვითი სახელი

წილადი რიცხვითი სახელი იწარმოება აღწერითად. ამისთვის ვართაშნულში გამოყენებულია სიტყვები ბარ “წილი”, ჯოკ “id”. კონსტრუქცია შედგება ნათესაობითისა ან აბლატივის ფორმით წარმოდგენილი რიცხვითი სახელისაგან, მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელისა და “წილი”-ს აღმნიშვნელი ზემოთ დასახელებული სიტყვებისაგან.

წილადი რიცხვითი სახელების საწარმოებლად უდიურში ასევე გამოიყენება სიტყვები ჳი “ნახევარი” და ურუბ “მეოთხედი”:

ჳოტხო (ან ჳოტაჲ) ხიბ ბარ (ან ჯოკ) “სამი მეხუთედი” (ზედმიწ. “ხუთისაგან (ან “ხუთისა”) სამი წილი”);

ბიჳოტხო (ან ბიჳოტაჲ) სა ბარ (ან ჯოკ) “ერთი მეოთხედი” (ზედმიწ. “ოთხისაგან (ან “ოთხისა”) ერთი წილი”)..

სა-ნ-ჳი “ერთნახევარი”; პა-ნ-ჳი “ორნახევარი”; სა-ურუბ “ერთი მეოთხედი”; პა-ურუბ “ორი მეოთხედი”; ხიბ-ურუბ “სამი მეოთხედი”..

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელი

უდიურში დასტურდება I და II პირის ნაცვალსახელები: ზუ “მე”;
უნ (ვართ.)//ჰუნ (ნიჯ.)
“შენ”; დან “ჩვენ”; ვა’ნ “თქვენ”.

უდიურ ენას არ მოეპოვება III პირის ნაცვალსახელები: ამ ფუნქციით უდიურში ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება.

პირის ნაცვალსახელთა სახელობითი და ერგატიული ბრუნვა არ არის დიფერენცირებული, მაგ.:

ზუ ისა ლაფულო “მე ახლა ავალ”;

ზუ ბესაზუ აშ “მე ვაკეთებ საქმეს”...

მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელი არ განირჩევა ინკლუზიურობისა და ექსკლუზიურობის თვალსაზრისით.

ჩვენებითი ნაცვალსახელი

უდიურ ენაში მოგვეპოვება ჩვენებით ნაცვალსახელთა სამი სახეობა, რომლებიც განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელ პირზე მიგვითითებენ: პირველ პირთან გვაქვს **მე**; მეორე პირთან **ქა**; მესამე პირთან **ტე**. ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან სხვა ატრიბუტიულ სიტყვათა მსგავსად, ანუ დასახელებული ნაცვალსახელები ყოველთვის საზღვრულის წინ დგას და არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით:

სახელობითი	მე ადამარ	ქა ადამარ	ტე ადამარ
	“ეს ადამიანი”	“ეგ ადამიანი”	“ეს ადამიანი”
ერგატივი	მე ადამარ-ენ	ქა ადამარ-ენ	ტე ადამარ-ენ
ნათესაობითი	მე ადამარ-ი	ქა ადამარ-ი	ტე ადამარ-ი
მიცემითი	მე ადამარ-ა[ხ]	ქა ადამარ-ა[ხ]	ტე ადამარ-ა[ხ]
მრ. რიცხვი	მე ადამარ-უხ	ქა ადამარ-უხ	ტე ადამარ-უხ

მხოლ.

რიცხვი

მრავლ.

რიცხვი

სახ.	მონო “ეს”	ქანო “ეგ”	შონო “ის”	მონორ	ქანორ	შონორ
ერგ.	მე-ტ-ინ	ქა-ტ-ინ	შე-ტ-ინ	მე-ტ-ღ-ონ	ქა-ტ-ღ-ონ	შე-ტ-ღ-ონ
ნათ.	მე-ტ-ად	ქა-ტ-ად	შე-ტ-ად	მე-ტ-ღ-ოდ	ქა-ტ-ღ-ოდ	შე-ტ-ღ-ოდ
მიც.	მე-ტ-უ[ხ]	ქა-ტ-უ[ხ]	შე-ტ-უ[ხ]	მე-ტ-ღ-ო[ხ]	ქა-ტ-ღ-ო[ხ]	შე-ტ-ღ-ო[ხ]
აბლ.	მე-ტ-უხ-ო	ქა-ტ-უხ-ო	შე-ტ-უხ-ო	მე-ტ-ღ-ოხ-ო	ქა-ტ-ღ-ოხ-ო	შე-ტ-ღ-ოხ-ო
კომ.	მე-ტ-უხ-ოლ	ქა-ტ-უხ-ოლ	შე-ტ-უხ-ოლ	მე-ტ-ღ-ოხ-ოლ	ქა-ტ-ღ-ოხ-ოლ	შე-ტ-ღ-ოხ-ოლ
ადეს.	მე-ტ-უსტა	ქა-ტ-უსტა	შე-ტ-უსტა	მე-ტ-ღ-ოსტა	ქა-ტ-ღ-ოსტა	შე-ტ-ღ-ოსტა
ალა ტ.	მე-ტ-უსტ	ქა-ტ-უსტ	შე-ტ-უსტ	მე-ტ-ღ-ოსტ	ქა-ტ-ღ-ოსტ	შე-ტ-ღ-ოსტ
სუბ.	მე-ტ-ულ	ქა-ტ-ულ	შე-ტ-ულ	მე-ტ-ღ-ოლ	ქა-ტ-ღ-ოლ	შე-ტ-ღ-ოლ
კაუზ.	მე-ტ-ენკ	ქა-ტ-ენკ	შე-ტ-ენკ	მე-ტ-ღ-ონკ	ქა-ტ-ღ-ონკ	შე-ტ-ღ-ონკ

კუთვნილებითი ნაცვალსახელი

უდიურ ენაში მოგვეპოვება სამივე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

ბეზი “ჩემი”;

ვი “შენი”;

შეტა < შეტად “მისი”, “იმისი”;

ბეში “ჩვენი”;

ეჭი “თქვენი”;

შეტლო < შეტლოდ “მათი”, “იმათი”.

სხვა ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როდესაც გამოყენებულია მსაზღვრელ სიტყვად, როგორც წესი, ეკვეცებათ ბოლოკიდური -ი ან -ე (ვი ნაცვალსახელის გამოკლებით), მაგ.:

ბეზ (< ბეზი) კოჯ “ჩემი სახლი”;

შეტა (< შეტაჲ) იშუ “მისი ქმარი”;

ბეშ (< ბეში) მუზ “ჩვენი ენა”;

ეჭ (< ეჭი) ჰეელ “თქვენი ბავშვი”;

შოტლო (< შოტლოჲ) ფაქ “მათი ბაღი”...

მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი უცვლელია, ხოლო სუბსტანტივად გამოყენებული – სხვა ატრიბუტიულ სახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	ბეზი-ო “ჩემი”	ბეში-ო “ჩვენი”	ვი-ო “შენი”	ეჭი-ო “თქვენი”
ერგ.	ბეზი-ო-ტ-ინ	ბეში-ო-ტ-ინ	ვი-ო-ტ-ინ	ეჭი-ო-ტ-ინ
ნათ.	ბეზი-ო-ტ-ა[ჲ]	ბეში-ო-ტ-ა[ჲ]	ვი-ო-ტ-ა[ჲ]	ეჭი-ო-ტ-ა[ჲ]
მიც.	ბეზი-ო-ტ-უ[ხ]	ბეში-ო-ტ-უ[ხ]	ვი-ო-ტ-უ[ხ]	ეჭი-ო-ტ-უ[ხ]
აბლ.	ბეზი-ო-ტ-უხ-ო	ბეში-ო-ტ-უხ-ო	ვი-ო-ტ-უხ-ო	ეჭი-ო-ტ-უხ-ო
კომ.	ბეზი-ო-ტ-უხ-ოლ	ბეში-ო-ტ-უხ-ოლ	ვი-ო-ტ-უხ-ოლ	ეჭი-ო-ტ-უხ-ოლ ¹
ადეს.	ბეზი-ო-ტ-უ-სტა	ბეში-ო-ტ-უ-სტა	ვი-ო-ტ-უ-სტა	ეჭი-ო-ტ-უ-სტა
აღატ.	ბეზი-ო-ტ-უ-ჭ	ბეში-ო-ტ-უ-ჭ	ვი-ო-ტ-უ-ჭ	ეჭი-ო-ტ-უ-ჭ
სუპ.	ბეზი-ო-ტ-უ-ლ	ბეში-ო-ტ-უ-ლ	ვი-ო-ტ-უ-ლ	ეჭი-ო-ტ-უ-ლ
კაუზ.	ბეზი-ო-ტ-ენკ	ბეში-ო-ტ-ენკ	ვი-ო-ტ-ენკ	ეჭი-ო-ტ-ენკ ²

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება :მისი, მისნი, თავიანთი.

სახ.	იჩი	იჩიორ	იჩულო “თავიანთი”
	“მისი”, “თავისი”	“მისნი”	
ერგ.	იჩი-ტ-ინ//	იჩიორ-ტ-ღ-ონ	იჩულო-ტ-ინ//
	იჩი-ო-ტ-ინ		იჩულო-ო-ტ-ინ

ნათ.	იჩი-ტ-ა[ა]// იჩი-ო-ტ-ა[ა]	იჩიორ-ტ-ღ-ო[ა]	იჩუღოღ-ტ-ა[ა]// იჩუღოღ-ო-ტ-ა[ა]
მიც.	იჩი-ტ-უ[ხ]// იჩი-ო-ტ-უ[ხ]	იჩიორ-ტ-ღ-ო[ხ]	იჩუღოღ-ტ-უ[ხ]// იჩუღოღ-ო-ტ-უ[ხ]

სახ.	შეტად-ო “მისი”	შეტოღოღ-ო “მათი”
ერგ.	შეტად-ტ-ინ//შეტად-ო-ტ-ინ	შეტოღოღ-ტ-ინ//შეტოღოღ-ო-ტ-ინ
ნათ.	შეტად-ტ-ო[ა]//შეტად-ო-ტ-ო[ა]	შეტოღოღ-ტ-ო[ა]//შეტოღოღ-ო-ტ-ო[ა]
მიც.	შეტად-ტ-უ[ხ]//შეტად-ო-ტ-უ[ხ]	შეტოღოღ-ტ-უ[ხ]//შეტოღოღ-ო-ტ-უ[ხ]

სავარჯიშო: ქრესტომათიიდან ამოიწერეთ პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

პაღჭაღღულ, მათე შუკაღ

ბიესა თენე

ბანეჟე თენე ბაჟე სა ღანან პაღჭაღღენე ბაჟე მე პაღჭაღღულენ პან ღანან ღარე ბაჟე. ვახტ-ვანღანე არე, მე ღარმუხ ქალქალაყუნ ბაჟე. მე პაღჭაღღულენ ფაქნა ბიღიღ სა ღანან ეშა ნა ხოღღე ბაჟე. ტე ეშა ნა ხოღღახო ევახთე ფაიზ არი ბანეჟესა, ეშა ნუხ არი ყუშენ აყი თანეშესა. აბათეყუ ეტინა თაშშა მე ხოღღახო ღამღამ აზღაღყუნი თე ენე ეშა ანეჟე, ეშა ნუჩუკაღყუნ, ბეღაღყუნ ეშა ბუთენე. ეშა ნუ შეღენ თანეშერე. ახერ სა ღი, პან ღი, სა უსენ, პან უსენ, ვიწ უსენ, მე ღარმუხთე ქალ-ქალაყუნ ბაჟე. არი ბაყუნჟე, ბაბან კაღღეფი იჩ ქალა ღარა ფენეთე, ად ღარ ფენე, უნ ავაკე მეთარ ბეზ ფაქი მეჯჯურან ეშა ნა ხოღღთე ბუნე, ტე ეშა ნა ხოღღინ ეშა ნუ დან ჩუკეს თეღან ბაქსან გარან თაღან ყაროღ ბანუ, ტე ეშა ნუ ეტინა უქსა თანეცე ღარ, არეცე ეშა ნა თუშე. გოღღონე დაყ ბეღე, კიწინე დაყ ბეღე, შუნე ბიღ მე ღარ ნეპაღღე თაღე. ნეპაღღთე თანეცე, შავატ ყუშ ღიღინ ენესა მე ეშა ნუ ჩუნეკესა, ანსანე ჭესანე თაღსა ღამღამთე ხაშნე ბითე, მე ღარ მოღღორე ბაჟე, ბეღანსანეთე ეშა ნა ხოღღა ეშა ბუთენე. ადზერი თანეცე კუა, თანეცე კუა, იჩ ბაბან ეხნეთე ზუ ეხნე, ად ბაბა ეხნე, ბოხო შუ ეხნე არზუცე ეხნე, ამა ეხნე ეკაღ თეზა აკე ეხნე ეტინა არი ტე ეშა ნუ ჩუქი თაშერე. ენესა მე სა უსენაღ ჭენებაქსა, პანმჯი უსენ კიწკე ღარახნე კაღღესა. კაღღესა, ეხნეთე ეჟე ეხნე, მე ვიჩენ ეხნე, ქალა ვიჩენ ეხნე ტე ეშა ნუ ყაროღ ბეს თეტუ ბაჟე.

კითხვითი ნაცვალსახელი

უდიურში დასტურდება შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები და ამ ფუნქციით გამოყენებული სიტყვები: შუ? “ვინ?”; ეკა? (ვართ.)//ჰიქა? “რა?”; მანო? (ვართ.)//მანუ? (ნიჯ.) “რომელი?”; ემა?//ემო? (ვართ.), ჰემა?//ჰემო? (ნიჯ.) “რამდენი?”; ეყარა?//ეყარო? (ვართ.), ჰეჯარა? (ნიჯ.) “რამდენი?”; ეჯურა?//ეჯურაო?//ეჯურო? (ვართ.), ჰეჯურა? (ნიჯ.) “როგორი?”; ევახტუნ?//ევახტუნო? (ვართ.), ჰევახტუნო? (ნიჯ.) “როდინდელი?”, შიდა?//შიდო? “ვისი?”, ეტადა?//ეტადაო? “რისი?”, მატადა?//მატადაო? “რომლის?”...

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება არ განსხვავდება სხვა ნაცვალსახელთა ბრუნებისაგან. თავისებური ბრუნება ახასიათებს შუ? “ვინ?” ნაცვალსახელს, რომელიც -ო მასუბსტანტივებელ სუფიქსს არ დაირთავს:

სახ. შუ “ვინ?”

ერგ. შინ

ნათ. ში მიც. შუ[ხ]

აბლ. შუხო

კომიტ. შუხოლ[ან]

ადეს. შუსტა

ალატ. შუჰ

სუპერ. შულ

კაუზატ.. შინკ[ენა]

შუ ნაცვალსახელი მრავლობითში თითქმის არ იხმარება და ხშირად -ა კითხვით ნაწილაკს დაირთავს, მაგ., მე ადამარ შუ-ა? “ეს ადამიანი ვინ არის?”... მრავლობითი რიცხვი ეკა?//ჰიქა? ნაცვალსახელისათვის არ დასტურდება. ნიჯურში მოწმდება ჰიქა? ნაცვალსახელის გამარტივებული ქა ფორმა, მაგ., ქა-ნ-ჰაჯასა? “რას ყიდულობ?”; ქა-ნ-ჩურესა? “რა გსურს?”...

ნაცვალსახელი მანო? “რომელი” (ნიჯ. მანუ) უნდა დაიშალოს შემდეგნაირად – მა-ნ-ო, რის შესახებაც ირიბ ბრუნვათა ფორმები მეტყველებს: მა-ტ-ინ (ERG); მა-ტ-ა[დ] (GEN) და ა.შ. მანო? ფორმა იბრუნვის სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	მა-ნ-ო “რომელი?”	მა-ნ-ო-რ
ერგ.	მა-ტ-ინ	მა-ტ-ღ-ონ
ნათ.	მა-ტ-ა[ღ]	მა-ტ-ღ-ო[ღ]
მიც.	მა-ტ-უ[ხ]	მა-ტ-ღ-ო[ხ]
აბლ.	მა-ტ-უნო	მა-ტ-ღ-ონო
კომიტ.	მა-ტ-უნოლ[ან]	მა-ტ-ღ-ონოლ[ან]
ადეს.	მა-ტ-უსტა	მა-ტ-ღ-ოსტა
ალატ.	მა-ტ-უჭ	მა-ტ-ღ-ოჭ
სუპერ.	მა-ტ-ულ	მა-ტ-ღ-ოლ
კაუზატ..	მა-ტ-ენკ[ენა]	მა-ტ-ღ-ონკ[ენა]

მანო ნაცვალსახელი დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ მას დაერთვება და ეკა?//ჰიქა? ნაცვალსახელთა მსგავსად სხვა კითხვითი ნაცვალსახელებიც იბრუნვის: ყველა მათგანი (ემა?//ემო? (ვართ.), ჰემა?//ჰემო? (ნიჯ.) “რამდენი?”; ეყარა?//ეყარო? (ვართ.), ჰეკარა? (ნიჯ.) “რამდენი?”; ეჯჭრა?//ეჯჭრაო?//ეჯჭრო? (ვართ.), ჰეჯჭრა? (ნიჯ.) “როგორი?”; ევახტუნ?//ევახტუნო? (ვართ.), ჰევახტუნო? (ნიჯ.) “როდინდელი?”, შიდა?//შიდაო? “ვისი?”, ეტადა?//ეტადაო? “რისი?”, მატადა?//მატადაო? “რომლის?”) მრავლობითი რიცხვის ფორმებს აწარმოებს. ეჯჭრა?//ეჯჭრაო?//ეჯჭრო? “როგორი?”, შიდა?//შიდაო? “ვისი?”, ეტადა?//ეტადაო “რისი?”, მატადა//მატადაო “რომლის.” ის თე “რომ” მაქვემდებარებელი კავშირი, ხოლო ფორმა მანო-თე გამოიყენება როგორც მიმართებითი ნაცვალსახელის, ისე მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ფორმა მანო მიმართებითი ნაცვალსახელად გვხვდება.

მანო?//მანუ

მიმართებითი ნაცვალსახელი

მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელისაგან თე (“რომ”) კავშირისა ანდა -აღ კლიტიკის (ქართულში -ც ნაწილაკს უდრის) მეშვეობით: შუ-თე, შუ-აღ “ვინც”; ეკა-თე, ეკაღ (< ეკა-აღ) “რაც”; მანო-თე, მანო-აღ “რომელიც”, მაგ.:

ფორმა მანო (ნიჯ. მანუ), კითხვითი ნაცვალსახელის გარდა, ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გვხვდება.

მიმართებითი ნაცვალსახელების ბრუნებისას მთლიანად გამოვრებულია კითხვით ნაცვალსახელთა ფორმები:

სახ.	შუ-თე “ვინც”	ეკა-თე “რაც”	მანო-ალ “რომელიც”
ერგ.	შინ-თე	ეტინ-თე	მატინ-ალ
ნათ.	ში-თე	ეტად-თე	მატად-ალ
მიც.	შუ[ხ]-თე	ეტუ[ხ]-თე	მატუ[ხ]-ალ

უარყოფითი ნაცვალსახელი

უარყოფითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან კალ ელემენტის მეშვეობით: შუ-კალ “არავინ”; ეკალ//ეკკალ (< *ეკა-კალ) “არაფერი”; მანო-კალ “არც რომელი”; ემა-კალ “არც რამდენი”... სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კალ ელემენტი ზმნა ფეს “თქმა”, “ლაპარაკი” აწმყო-მყოფადის (უსრული სახის) მიმღეობას უნდა წარმოსდგენდეს (“სათქმელი”).³

უარყოფითი ნაცვალსახელის გამოყენებისას, წინადადებაში აუცილებელია უარყოფის ნაწილაკის, (თე-, ნუთ- “არა”), მნიშვნელობით უდრის ქართულ უ-ო პრეფიქს-სუფიქსს (გამოიყენება აგრეთვე ქართული „არ“ ნაწილაკის მნიშვნელობით).

მასუბსტანტივებელი სუფიქსი -ო ამ ნაცვალსახელებს ზოგჯერ დაერთვის, ზოგჯერ კი – არა. ამის მიხედვით, უარყოფით ნაცვალსახელებს ახასიათებს ბრუნების ორგვარი ტიპი: სახელური და ნაცვალსახელური, შდრ.:

სახ.	შუკალ	შუკალ-ო	ეკალ	ეკალ-ო
	“არავინ”	“id”	“არაფერი”	“id”
ერგ.	შუკალ-ენ	შუკალ-ტ-ინ	ეკალ-ენ	ეკალ-ტ-ინ
ნათ.	შუკალ-ი	შუკალ-ტ-ა[ფ]	ეკალ-უნ	ეკალ-ტ-ა[ფ]
მიც.	შუკალ-ა[ხ]	შუკალ-ტ-უ[ხ]	ეკალ-ა[ხ]	ეკალ-ტ-უ[ხ]

სავარჯიშო: ქრესტომათიიდან ამოიწერეთ პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები

**პატივსაცემი, მათე შუკალ
ბიესა თენე**

.ეფსენ **უნ** ეხნე თაქე, ყაროლ ბა. ეშა **თე** ანეპე არი ირ მანზილა ბანეპე ენე ეშა ჩუქალ ვაღანე, კიწკე ღარას დაყანებსა, ეშა ნა თუმე ყაროლ ბესუნა. მე ღარენ ეკაყან ბი, ეთარყანბი, ბიყეს თეყუ ბაქსა ეტინა ეშა ნუ თაშშა. იჩხო სა ღანან მე სალ ელ აყსანე თაღსა

თანესა ხოღინ თუმე, გოლონე დაყ ბელსა, კიწინე დაყ ბელსა, არი შუნე ბილ ბანეპესა. შუნე ბილ ბანეპესა, მე ღარას ნეპენ თანეშშა. ეკაყანბი ეხნე ეკაბალშულა ერერი ირ კაშინა ბონესტა, ელუსალ ბანესა ირ ლახო ელუსთე ბანესა, მე ღარი ქეხო პი თანესა, ღა, ამა ირ ქულალ ჭიჭინესა, მე ქინ ჭიჭიფსუნე მე ღარა ბასკესან თენე ბარესა, ბოხო შუ არცი ყაროლე ბესა, შუნე ბილ არი ელახუნ სა ვაღინან ხამ ბითალ მამენტა არი სა დექქა ქანგე გალეხა ვურღუნე გალეხა, ეხნე მონო ეკა ფესუნა ბაქო, სად ჭენებაქსა მე ქულანგუნ, მე ვურღუნუნ ბომ სალ ბელსანე სა დექა ქალა ყუმ ფილინ ენესა **მე** ეშა ნა ლახო. არცი ბუტუსათე ჩუქალე მე ყუმუნუ ბინიყესა, მე ყუმუნუ ბინიყესა, მე ყუმენ ეხნეთე, ენე ზახ მამესა ეხნე, მამიყა ეხნე, უნ ეხნე ზახ **ეკა** უკადნუ ეხნე ზუ ვახ ჰამოტუ ბალშუ, ეხნე, უნ **ეკა** ბესვა ბაქო, ზუ ეხნე ვენკენა ეხნე ბეზ პატივსაცემი ეხნე, პატივსაცემი ხინარე ბუ ეხნე, ტე ხინარე ვენკენა ღუზბესა ბაქო, თე ჩუბუხ ბესანუ ქი უნ ე პატივსაცემი ყუმუნუ, ზუ ეხნე, პატივსაცემი მათე შუკალ ბიესა თენე ტე ვაღინან ეხნე შელ, ჰო, ერერი ბრახნესტა მე ყუმუნუ, ჯომ ჭერი თანესა თანესა, თაცი მეტინ **ირ** ბაბახ ეხნეთე ჰამეთარ, პოდ ეხნე, ჰეზბე მელინ ნანის მე ყუმუნუხო ლამანესტა მე ღარ, მე ღარას მე ყუმენ აყი თანესა ირ პატივსაცემი გოლოყუნ თაღსა, კიწიყუნ თაღსა, თაყუნსა სა ღანან პატივსაცემი, მათე ღურჟეს ვარღურუნე ციციკუნე, ბუთუმ ჰარ ხოღახო ვარღუხო ვარღუ ყუმენ ეხნე პურესა შავატ. ბელსანე მე ღარენ, მე პატივსაცემი შელ ხინარტა ბუ, მაუქა, მაულა, თანქან ირ ლახო ბელა ისან ეთარყან თაშერი, მე ხინარე ეთარყან ბაშყი მე პატივსაცემი ლახო, მე ყუმენ ეხნეთე **ზუ** ვახ ეხნე ქომქბალშუ. ღა, ჭენებაქსა სად მალ ვაღან, მე ყუმენ მე ღარას **ირ** ამელ არცესნესთა მე ხინარე საგალა ბაშნიყესა, აყსანე თაღსა

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ფუნქციით უდიურში მოგვეპოვება: ჰარ-ო “ყოველი”; ჰარსა//ჰარსო “ყოველი” (ნიჯ. ჰჰრსჰ); ბუთუნ//ბუთუნ-ო “ყველა”. ჰარსა//ჰარსო ფორმა შედგენილია: ჰარ “ყოველი” + სა “ერთი”//სა-ო > სო.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	ჰარ-ო “ყოველი”	ჰარსა//ჰარსო “id”	ბუთუნ//ბუთუნო “ყველა”
ერგ.	ჰარ-ო-ტ-ინ ჰარ-ტ-ინ	ჰარსა-ტ-ინ ჰარსო-ტ-ინ	ბუთუნ-ტ-ინ
ნათ.	ჰარ-ო-ტ-ა[ფ] ჰარ-ტ-ა[ფ]	ჰარსა-ტ-ა[ფ] ჰარსო-ტ-ა[ფ]	ბუთუნ-ტ-ა[ფ]
მიც.	ჰარ-ო-ტ-უ[ხ] ჰარ-ტ-უ[ხ]	ჰარსა-ტ-უ[ხ] ჰარსო-ტ-უ[ხ]	ბუთუნ-ტ-უ[ხ]

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით ძირითადად გამოყენებულია რიცხვითი სახელი სა “ერთი” და მისგან ნაწარმოები ფორმები. უდიურში მოგვეპოვება შემდეგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: სა//სო < სა-ო “ვინმე”, “ვიღაც”, “რამე”, “რაღაც”;

სუნ < *სა-უნ//სუნო “ვინმე”, “ვიღაც”;

საემო “რომელიმე”, “რომელიღაც”, “ზოგი”;

ტესუნ < *ტე-სა-უნ “სხვა [ვინმე, ვიღაც]”.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები სხვა ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის:

სახ.	სო < სა-ო	სუნ//სუნო	საემო
ერგ.	სო-ტ-ინ	სუნ-ტ-ინ	საემო-ტ-ინ
ნათ.	სო-ტ-ა[ფ]	სუნ-ტ-ა[ფ]	საემო-ტ-ა[ფ]
მიც.	სო-ტ-უ[ხ]	სუნ-ტ-უ[ხ]	საემო-ტ-უ[ხ]

უკუქცევითი ნაცვალსახელი

უდიურში ამგვარი ფუნქციით დასტურდება ნაცვალსახელი იჩ “თვით”, “თვითონ”. იჩ ნაცვალსახელი სუბსტანტივის მნიშვნელობით გამოიყენება და არსებითი სახელების მსგავსად იბრუნვის. საყურადღებოა, რომ ქართულისაგან განსხვავებით, ამ ნაცვალსახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა. აღსანიშნავია, რომ მრავლობითში არ არის გარჩეული სახელობითისა და ერგატივის ფორმები:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	იჩ “თვითონ”	იჩ-ღ-ონ
ერგ.	იჩ-ენ//იჩ-ინ	იჩ-ღ-ონ
ნათ.	იჩ-ი	იჩ-ღ-ო[ღ]
მიც.	იჩ-უ[ხ]	იჩ-ღ-ო[ხ]
აბლ.	იჩ-უხო	იჩ-ღ-ოხო
კომიტ.	იჩ-უხოლ[ან]	იჩ-ღ-ოხოლ[ან]
ადეს.	იჩ-უსტა	იჩ-ღ-ოსტა
აღატ.	იჩ-უჭ	იჩ-ღ-ოჭ
სუპერ.	იჩ-ულ	იჩ-ღ-ოლ
კაუზატ.	იჩ-ენკ[ენა]	იჩ-ღ-ონკ[ენა]

იჩ ნაცვალსახელი მხოლოდ III პირის აღმნიშვნელია, ხოლო I და II პირს ვერ იგუებს. უდიურში არ გვხვდება “მე თვითონ”, “თვით მე”, “შენ თვითონ”, “თვით შენ” სინტაგმები.

მსაზღვრელ სიტყვად გამოყენებული იჩ (< იჩი) ნაცვალსახელი გვევლინება კუთვნილებით ნაცვალსახელად, შდრ.: იჩ ბუ-ნე “თვითონ არის” და იჩ ნანა “თავისი [მისი] დედა”... იჩი კუთვნილებითი ნაცვალსახელი სუბსტანტივის მნიშვნელობითაც გვხვდება. (იხ. კუთვნილებითი ნაცვალსახელი).

საერთიერთო ნაცვალსახელი

ამ ფუნქციით უდიურში გვევლინება სუნ-სუნ//სუნ-სუნ-ო “ერთმანეთი”. ეს რთული შედგენილობის ფუძეა, რომელიც რედუქციის შედეგად მიღებულ -უნ სუფიქსით გართულებულ სა “ერთი” რიცხვით სახელს წარმოადგენს (სუნ-სუნ < *სა-უნ-სა-უნ). ბრუნებისას, ეს ნაცვალსახელი მხოლოდ მიცემითის, აბლატივის, კომიტატივის, ალატივის, სუპერასივისა და ბენეფაქტივის ფორმებს აწარმოებს. ამ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა არ დასტურდება:

ვართ.

სახ.	სუნ-სუნ//სუნ-სუნ-ო “თვითონ”
მიც.	სუნსუნ-ა[ხ]
აბლ.	სუნსუნ-ახო
კომი	სუნსუნ-ახოლ[ან]
ალატ.	სუნსუნ-აჟ
სუპერ.	სუნსუნ-ალ
კაუზატ.	სუნსუნ-ენკ[ენა]

ზმნა

მარტივი აგებულების ზმნები

უდიურ ზმნას არ ახასიათებს მორფოლოგიურ კატეგორიათა მრავალფეროვნება.

უდიურში ზმნისათვის ნიშანდობლივია მხოლოდ პირის [და რიცხვის] კატეგორიისა და დრო-კილოთა ფორმების არსებობა. მრავლობითი რიცხვი ზმნაში სპეციალური აფიქსით არ გამოიხატება. პირის კატეგორიაც ახალი შექმნილი ჩანს, ხოლო პირის ფორმანტთა განაწილება საინტერესო სურათს გვიჩვენებს. გრამატიკული კლას-კატეგორია მოშლილია, წარმოდგენილია მისი ნაშთი გაქვავებული პრეფიქსების სახით. გვარი ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო ასპექტის კატეგორია მოშლის პირასაა მისული და მხოლოდ ზმნათა ერთი ჯგუფის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ კატეგორიის შესახებ. პრევერბის ხასიათის ელემენტები გადმონაშთის სახით გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ზმნაში.

მარტივი აგებულების ზმნები

არანაწარმოებ (სინქრონულ დონეზე), ანუ მარტივი აგებულების ზმნების რიცხვი უდიურ ენაში არ არის დიდი და 60-70 ერთეულს არ აღემატება. მათი დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია.

აკ-ეს “ნახვა”, “დანახვა”, “გამოჩენა”;

აკ-ეს “ადება”, “აყვანა”;

უქ-ეს “ჭამა”;

უღ'-ეს “დაღევა”;

ეწ-ეს “შეშრობა”;

ოწ-ეს “გარეცხვა”;

ექ-ეს “დაჭერა”, “დაკაევა”...

არც-ეს “დაჯდომა”;

უსკ-ეს “გაზომვა”...

ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”;
 ბიხ-ეს “შობა”, “დაბადება”;
 ბოკ-ეს “წვა”, “ხრუკვა; ბოხ-ეს “ხარშვა”
 ;ბოყ-ეს “კრეფა”;
 ჭურ-ეს “გრეხა”;
 ჩურ-ეს “გავლა”, “გასეირნება” (ნიჯ. “ყვარება”, “შეყვარება”);
 ქალ-ეს “ღუღება”;
 გურ-ეს “წაქცევა”;
 ჯარ-ეს “წვა”, “ხრუკვა;
 შამ-ეს “კვლა”;
 დო’ფ-ეს “სკდომა”...
 ბასკ-ეს “დაწოლა”, “დაძინება”;
 ბურკ-ეს “დაწყება”;
 ბაშყ-ეს “მოპარვა”;
 მანდ-ეს “დარჩენა”;
 ჩალხ-ეს “გაცნობა”...
 იშვიათად გვხვდება ორმარცვლიანი მარტივი აგებულების ფუძეები,
 წორო-ეს “დინება” [წურწურით, წვეთ-წვეთად];
 ახა-ეს “აკიდება”, “ზურგზე ჩამოკიდება”;
 ჩოვაქ-ეს (ნიჯ.; < ვართ. ჭე-ბაქ-ეს) “გადავლა”...
 ბ-ეს “კეთება” და ფ-ეს “თქმა”, “ქმნა” ფუძეს ცალკეული თანხმოვანი
 წარმოადგენს.

სავარჯიშო: ამოიწერეთ ქრესტომათიიდან მარტივი ზმნები .

გაკვეთილი 23

რთული აგებულების ზმნები

უდიურ ენაში ზმნური ლექსემების დიდი ნაწილი კომპოზიტებს

წარმოადგენს. ზმნური კომპოზიტების პირველი ინგრედიენტი მარტივ არაუდვლელად ფუძეს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი – მეშველ ზმნას. ამ დამხმარე ზმნებისაგან ცალკე აღებული მხოლოდ სამი ზმნა წარმოადგენს დამოუკიდებელ ლექსემას, ესენია: ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”; ბ-ეს “კეთება” და ფ-ეს “თქმა”, “ქმნა”. მათ რიცხვს შესაძლოა მივუმატოთ ერთი ლექსემაც – ეც-ეს, რომელიც მოძრაობის ადმინიშვნელ დეფექტურ ზმნად უნდა მივიჩნიოთ.

რთული აგებულების ზმნები:

ბაქ-ეს – გარდაუვალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., ქალა-ბაქეს “გაზრდა” (ქალა “დიდი”); ჭ’ოჭა-ბაქსუნ “გაწითლება” (ჭ’ოჭა “წითელი”)...

ბ-ეს – გარდამავალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., აშ-ბეს “მუშაობა” (აშ “საქმე”); ბარ-ბესუნ “ღარიგება”, “ღანაწილება” (ბარ “წილი”)...

ფ-ეს – ძირითადად სემანტიკურად მეტყველებასთან, ხმასთან დაკავშირებულ მოქმედებების ადმინიშვნელ და სხვა გარდამავალ ზმნებსაც აწარმოებს, მაგ., ათ-ფეს “ლაპარაკი” (ათ “სიტყვა”); მად’-ფეს “მღერა” (მად’ “სიმღერა”); კ’ოკ-ფეს “დახველება”, ახშუმ-ფეს “გაცინება”; მაგრამ: აჩი-ფეს “თამაშობა” (აჩი “თამაში”); ოხ-ფეს “ვარცხნა” (ოხ “სავარცხელი”); ცამ-ფეს “წერა” (ცამ “ნაწერი”)... ფორმა ფ-ეს იშვიათად აწარმოებს გარდაუვალ ზმნებსაც, შდრ.: ჩურ-ფეს “ღვომა”, “გაჩერება”...

ეც-ეს – აწარმოებს დეკაუზატივს, მაგ., აკ-ენე “ნახა” – აკ-ეც-ენე “დაენახა”; თად-ენე “მისცა” – თად-ეც-ენე “მიეცა”... მიუხედავად ამისა, ეს ფორმა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არა მაწარმოებელს, არამედ მეშველ ზმნას, შდრ.: ცამ-ფ-ენე “წერს” – ცამ-ეც-ენე “იწერება”; გამ-ნე-დ-ე “აცხელებს” – გამ-ეც-ენე “ცხელდება”; გირ-ბ-ენე “თავს უყრიან” – გირ-ეც-ენე “თავს იყრის”... ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ფორმა აც-ეს პირველ ინგრედიენტს დაერთვის როგორც მეშველი ზმნა და სხვა უდვლელად კომპონენტებს (ბ-ეს, ფ-ეს, დ-ეს) ენაცვლება (უდიურში დაუშვებელია ორი დამხმარე ზმნის ერთად თავმოყრა).

რთული აგებულების ზმნების ყველაზე გავრცელებული მეორე უდვლელადი კომპონენტი, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია, არის დ- (ყრუ თანხმოვნების შემდგეს ხშირად გვაძლევს ტ-ს, მაგ., აკეს-ე-დ-ი “დაანახა” – აკეს-ტ-ეს “დანახვა”), მაგ., ჟოლ-დ-ეს “დაცობა” (ჟოლ “საცობი”); თოგ-დეს “გაყიდვა” (თოგ “ფასი”). ეს ელემენტი გვევლინება ასევე კაუზატივის მაწარმოებლად (-ეგკ მაწარმოებელთან ერთად), მაგ., ბ-ეს “კეთება” – ბ-ეს-ტ-ეს “კეთებინება”; უქ-ეს “ჭამა” – უქეს-დ-ეს “ჭმევა”; უდ’-ეს “დალევა” – უდ’ეს-დ-ეს “დალევინება”...

რთული აგებულების ზმნების პირველი კომპონენტი, როგორც წესი, წარმოშობით სახელს ან ადვერბიალურ სიტყვას წარმოადგენს. იშვიათად პირველ ინგრედიენტად შეიძლება შეგვხვდეს ზმნური ფუძე. ხშირია შემთხვევები,

როდესაც პირველ კომპონენტსაც – არაუდვლელად ფუძეს, ამჟამად არ აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგ., ბა-ფეს “ჩასხმა”, “ჩაყრა”; შამ-ფეს “დაკვლა”; ტი-ტეს “დაძახვა”; ჭურ-დეს “მოგრეხა”, “მოდრეცა” და სხვა.

გვხვდება იდომატური მნიშვნელობის კომპოზიტები:

მაგ., ხაბარ-აყ-ეს “შეკითხვა” (ხაბარ “ახალი ამბავი” + აყ-ეს “ადება”);
პძჩი-დუდ-ეს “მოტყუება” (პძჩი “ტყუილი” + დუდ-ეს “დარტმა”, “ცემა”);

გომ-დუდ-ეს “ღებვა” (გომ “ფერი” + დუდ-ეს “დარტმა”, “ცემა”);

იშეს-თად-ეს “გათხოვება” (იშეს “ქმარი” [მიც.] + თად-ეს “წასვლა”);

ნეპახ-ეს “დაძინება” (ნეპახ “ძილი” [მიც.] + ეს-უნ “მოსვლა”)...

შეადგინეთ წინადადებები და გამოიყენეთ რთული ზნმები.

პირის და რიცხვის კატეგორია

უდიური ენისათვის დამახასიათებელია ზმნის ცვლა პირის მიხედვით. როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნასთან აღინიშნება ოდენ სუბიექტის პირი.

უდიურ ზმნაში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი, რომლებსაც ახასიათებს პირის ნიშანთა საკუთარი სერია. პირის ნიშნები ზმნასთან იცვლება წინადადების კონსტრუქციის მიხედვით. ვართაშნული კილოსათვის დამახასიათებელია პირის გამონათქვამის სამგვარი სისტემა:

I ჯგუფში შედის ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა – გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს სახელობით ბრუნვას ან ერგატივში.

II ჯგუფს განეკუთვნება გრძობა-აღქმის სემანტიკის გამომხატველი ზმნები (*verba sentiendi*), რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს მიცემით ბრუნვაში, თუმცა დღეს უდიურში, როგორც წესი, გრძობა-აღქმის ზმნებთან სუბიექტი ერგატივის ფორმით გვევლინება. ეს მეორეული მოვლენაა.

III ჯგუფში კი ერთი დეფექტური ზმნა ბუ “ყოლა”, “ქონა” შედის (ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა” “გახდომა” ზმნის დრო-კილოები ავსებენ). აღნიშნული ზმნა მოითხოვს სუბიექტს ნათესაობით ბრუნვაში (ზმნა ბუ “ყოფნის” მნიშვნელობითაც გამოიყენება, მაგ., ზუ ბუ=ზუ “მე ვარ”. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ზმნა მოითხოვს სუბიექტს სახელობით ბრუნვაში და შესაბამისად I ჯგუფში შედის).

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯურ დიალექტში. ვართაშნულ კილოში “ქონა”-“ყოლის” აღმნიშვნელი ზმნისათვის (ვართ. ბუ; ნიჯ. ფუ) დამახასიათებელი III (პოსესიური; გენეტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა II (მიცემითსუბიექტიანი) სერიის პირის ნიშნებით, ხოლო ვართაშნულში გრძობა-აღქმის ზმნებთან დადასტურებული დატიური კონსტრუქცია ნიჯურში შეიცვალა ერგატიულით და შესაბამისად *verba sentiendi* ზმნები I სერიის პირის ნიშნებს დაირთავს. მაშასადამე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთი ზმნის ჩვენებას (ფუ “ყოლა”, “ქონა”), შეიძლება ითქვას, რომ ნიჯურში მოხდა პირის აღნიშვნის სისტემათა უნიფიკაცია.

პირივანი შეთანხმების ზოგადი პრინციპები ერთნაირად არის წარმოდგენილი უდიური ენის ორსავე კილოში. თითქმის ერთნაირია პირის ნიშნებიც. გვხვდება მცირე, ფონეტიკური ხასიათის განსხვავება.

პირის ნიშნები I-სა და II პირში უეჭველად ნაცვალსახელური წარმოშობისაა. პირის ნიშნები ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან, ზოგჯერ კი უცვლელად იმეორებენ I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმას.

როგორც აღინიშნა, I ჯგუფის ზმნები გრამატიკულ სუბიექტს მოითხოვენ სახელობითსა ან ერგატივში. ამის მიუხედავად, პირის ნიშნები ორივე კონსტრუქციასთან წარმოდგენილია ერთნაირად. გარდამავალი ზმნის სუბიექტი უდიურში ყოველთვის დასმულია ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, იშვიათი გამონაკლისების გარდა – სახელობითშია.

გაკვეთილი 25

I ჯგუფის ზმნების პირის ნიშნები

(სუბიექტი სახელობითსა ან ერგატივში)

პირი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზუ, =ზ, > =სუ, =ს	=იან
II პ.	=ნუ (=რუ, =ლუ, =დუ, =ტუ)// =ნ (=რ, =ლ, =დ, =ტ)	=ნან (=რან, =ლან, =დან, =ტან)
III პ.	=ნე (=რე, =ლე, =დე, =ტე)	=ყუნ

II ჯგუფის ზმნების პირის ნიშნები

(მიცემით-სუბიექტიანი)

	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ზა, =ზახ, =ზ	=ია, =იახ
II პ.	=ვა, =ვახ, =ვ	=ვა', =ვახ', =ვა-ნან
III პ.	=ტუ, =ტუხ	=ყო, =ყოხ

III ჯგუფის ზმნების პირის ნიშნები

(ნათესაობით-სუბიექტიანი)

პირი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	=ბეზ	=ბეშ
II პ.	=ვი	=ე'ფ
III პ.	=ტაი, =ტა	=ე'ო, =ყო

სამივე სერიის პირის ნიშნები, გენეტურად ამა თუ იმ ბრუნვაში დასმული პირის ნაცვალსახელება.

სავარჯიშო :თვალსაჩინოებისთვის პირის მაწარმოებლებს სათანადო პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს შევადარებთ.

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება უდიურ ენაში

ბრუნვები	I პირის		II პირის	
	მხოლოდობითი	მრავლობითი	მხოლოდობითი	მრავლობითი
სახელობითი	ზუ	დან	უნ//ჰუნ (ნიჯ.)	გან//ექან
ერგატივი	–	–	–	გან
ნათესაობითი	ბეზი	ბეში	გი	ექი
მიცემითი	ზა//ზახ	და//დახ	გახ	გახ'

დრო-კილოთა სისტემა

ამოსავალს დრო-კილოთა წარმოებისათვის ამოსავალს წარმოადგენს მარტივი (პირველადი, ნეიტრალური) ფუძე. უშუალოდ მასზე დაყრდნობით იწარმოება პირველად ფინიტურ ფორმათა მოზრდილი ნაწილი. საწარმოებელი (საყრდენი) ფუძის მიხედვით უდიურში დრო-კილოთანი ფორმები შეგვიძლია დავყოთ ოთხ ჯგუფად, ესენია:

მარტივ-მაწარმოებელიან მასდარის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ზმნური ფორმები:

აწმყო; იმპერფექტი.

გამოყენებული მაწარმოებლების მიხედვით ეს ჯგუფი შეგვიძლია დავყოთ დრო-კილოთა სამ ქვეჯგუფად:

ზმნური ფუძე + -ე მაწარმოებელი: პერფექტი; პლუსკვამფერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო.

ზმნური ფუძე + -ო მაწარმოებელი: მყოფადი პოტენციური; ნამყო-მყოფადი პოტენციური; II კონიუნქტივი.

ზმნური ფუძე + -ა მაწარმოებელი: იმპერატივი; კონიუნქტივი; ნამყოს კონიუნქტივი; კონდიციონალი.

სრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: აორისტი; II პერფექტი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (ეს ფორმა მხოლოდ ვართაშნულისთვისაა დამახასიათებელი); II პლუსკვამფერფექტი; კონტრაფაქტივი (ორივე ფორმა მხოლოდ ნიჯურ კილოშია გავრცელებული).

უსრული სახის მიმღეობის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმები: მყოფადი ძირითადი; ნამყო-მყოფადი ძირითადი; მყოფადი აუცილებლობითი; ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი; მყოფადი ნაწილაკოვანი (უკანასკნელი ფორმა მხოლოდ ვართაშნილისთვისაა დამახასიათებელი).

სხვაგვარი კლასიფიკაციით დრო-კილოები უდიურ ენაში შეიძლება დავყოთ პირველად და მეორად ფორმებად: პირველადი ფორმებია – უშუალოდ ზმნის ფუძეზე, სრული და უსრული სახის მიმღეობებსა და მარტივ-მაწარმოებელიან მასდარის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები ფორმებია, ხოლო მეორადი – პირველადი ფორმებისაგან ნაწარმოები დრო-კილოები. მეორადი ფორმები კლიტიკების მეშვეობით იწარმოება (ყა=, გი= [ნიჯ. დი-], =ა, =აღ) და, როგორც წესი, ნამყო დროის, იუსივის, პირობით-ნატვრითი კილოსა და ორი დროის მიჯნაზე განვითარებულ მოქმედებათა აღმნიშვნელ (ნამყო-მყოფადი ან მყოფადი ნამყოში) ფორმებს წარმოადგენს.

პირველად (არანაწარმოებ) ფორმებს განეკუთვნება: აწმყო; პერფექტი; აორისტი; II პერფექტი; მყოფადი ძირითადი; მყოფადი აუცილებლობითი; მყოფადი პოტენციური; კონიუნქტივი; იმპერატივი.

მეორად (ნაწარმოებ) ფორმებს განეკუთვნება: იმპერფექტი;

პლუსკვამპერფექტი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი; აორისტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო; II პლუსკვამპერფექტი; კონდიციონალი; კონტრაფაქტივი; ნამყო-მყოფადი ძირითადი; ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი; ნამყო-მყოფადი პოტენციური; მყოფადი ნაწილაკოვანი; ნამყოს კონიუნქტივი; II კონიუნქტივი.

ზმნათა უმეტესობა დრო-კილოთა პარადიგმას ერთიანი ფუძის პრინციპით აწარმოებს. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მოძრაობის ან მოძრაობის კაუზაციის აღმნიშვნელი ზმნა და ლექსემები ფ-ეს “თქმა”, უქ-ეს “ჭამა” და ბი[ფ]-ეს “მოკვდომა”. დასახელებული ზმნების დრო-კილოთა პარადიგმა წარმოდგენილია რამდენიმე (ორიდან-ოთხამდე) სუპლექტური ფუძეებით. ჯამში, მარტივი აგებულების არარეგულარული ზმნების რაოდენობა ორ ათეულს არ აღემატება.

მარტივ-მაწარმოებლიანი ზმნები

“ჩასვლა”	ჩირ-ი	ჩი[ფ]-ეს	ჩიქ-ი	ჩიღ-ალ
“წადება”	თაშერ-ი	თაშ-ეს	თაშ-ა	თაშ-ალ
“მოტანა”	ეჩერ-ი	ეჩ-ეს	ეჩ-ა	ეჩ-ალ
“ამოღება”	ჩიჩერ-ი	ჩიჩ-ეს	ჩიჩ-ა	ჩიჩ-ალ
“ადგომა”	აფერ-ი	აფ-ეს	აფ-ა	აფ-ალ
“სირბილი”	ტიტერ-ი	ტიტ-ეს	ტიტ-ა	ტიტ-ალ
“მოკვდომა”	პურ-ი	ბი[ფ]-ეს	ბიფ-ა	ბიფ-ალ
“ჭამა”	ქაფ-ი	უქ-ეს	უქ-ა	უქ-ალ
“თქმა”	ფ-ი	ფ-ეს [აწმყო: ეხ//ე]	უფ-ა	უკ-ალ

გაცილებით დიდია რთული აგებულების არარეგულარული ზმნების რაოდენობა (დაახლ. 100-ს შეადგენს). ეს გამოწვეულია ზმნურ კომპოზიტებში მეშველი ზმნების ფ-ეს “თქმა” და ეც-ეს (საფიქრებელია, რომ მოძრაობის აღმნიშვნელი დეფექტური ზმნაა) ხშირი გამოყენებით.

რთულმაწარმოებლიანი ზმნები

	აორისტი	მასდარი	აწმყო
“თბობა“	გამ-ეც-ი	გამ-ეცეს	გამ-ე-ს-ა
“ტირილი“	თ’ნე-ფ-ი	თ’ნე-ფეს	თ’ნე-ნე
“კითხვა“	კალ-ფ-ი	კალ-ფ-ეს	კალ-ე
“გაშვება“	ბარ-თ-ი	ბარ-თ-ეს	ბარ-ე

ბუ (ვართ.)//ფუუ (ნიჯ.) “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა” ზმნას ახასიათებს დრო-კილოთა დეფექტური პარადიგმა. ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა (ბუ) და ნამყო-უწყვეტელ (ბუ=მ) დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ზმნა ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა” დრო-კილოები ავსებენ.

დრო-კილოთა წარმოება

I ჯგუფი

I ჯგუფში შედის მარტივწარმოებლიან მასდარზე (მასდარი I) დაყრდნობით ნაწარმოები ზმნური ფორმები, კერძოდ: აწმყო და ნამყო-უწყვეტელი.

აწმყო იწარმოება -ეს ფორმატიან მასდარზე -ა სუფიქსის დართვით,

ბ-ეს-ა=(ნე) “აკეთებს”

აშ=(ნე)=ბ-ს-ა < *აშ=(ნე)=ბ-ეს-ა//აშ-ბ-ეს-ა=(ნე) “მუშაობს”;

ქარ=(რე)=ხ-ს-ა < *ქარ=(რე)=ხ-ეს-ა “ცხოვრობს”;

ბაქ-ს-ა=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ს-ა < *ბაქ-ეს-ა=(ნე)//*ბა=(ნე)=ქ-ეს-ა “არის”, “ხდება”, “არსებობს”.

-ეს სუფიქსის შემადგენელი ხმოვანი ხშირად იკვეცება, როდესაც ამ სუფიქსის წინ გვხვდება დახურული მარცვალი. ამ რელექციის შედეგად ზოგჯერ ვითარდება ფონეტიკური ცვლილებები, მაგ., თოგ-დ-ეს “გაყიდვა”: *თოგ=(ზუ)=დ-ეს-ა > *თოგ=(ზუ)=დ-ს-ა > თოგ=(ზუ)=სტ-ა (ბგერათა გადასმა დს > სტ) “ყიდი”.

ნამყო-უწყვეტელი

წარმოშობით მეორეული ფორმაა. იწარმოება აწმყოს ფორმაზე -მ დართვით:

ბ-ეს-ა=(ნე)=მ “აკეთებდა” აშ=(ნე)=ბ-ს-ა=მ

*აშ=(ნე)=ბ-ეს-ა=მ//აშ-ბ-ეს-ა=(ნე)=მ “მუშაობდა”;

ქარ=(რე)=ხ-ს-ა=მ < *ქარ=(რე)=ხ-ეს-ა=მ “ცხოვრობდა”;

ბაქ-ს-ა=(ნე)=მ//ბა=(ნე)=ქ-ს-ა=მ < *ბაქ-ეს-ა=(ნე)=მ//*ბა=(ნე)=ქ-ეს-ა=მ “იყო”, “არსებობდა”, “ხდებოდა”.

დრო-კილოთა წარმოება

II ჯგუფი

II ჯგუფში შედის უშუალოდ ზმნის ფუძეზე ნაწარმოები ზმნური ფორმები (ზმნის ფუძეს მივიღებთ, თუ მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის მაწარმოებელს – -ეს სუფიქსს მოვაშორებთ). მაწარმოებლების მიხედვით ეს ჯგუფი შეგვიძლია დავეყოთ დრო-კილოთა სამ ქვეჯგუფად:

-ე მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: პერფექტი (-ე ფორმანტი აწარმოებს) და მისგან ნაწარმოები მეორადი ფორმები: პლუსკვამფერფექტი (-ე + =მ), პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები იუსივი (-ე + ყა=), პერფექტის ფორმაზე დაყრდნობით ნაწარმოები პირობით-ნატვრითი კილო (-ე + გი=);

-ო მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: მყოფადი პოტენციური (-ო) და მისგან ნაწარმოები მეორადი ფორმები: ნამყოფადი პოტენციური (-ო + =მ); II კონიუნქტივი (-ო + =ალ);

-ა მაწარმოებლიანი ქვეჯგუფი: იმპერატივი (-ა); კონდიციონალი (-ა + დი- < *გი=); კონიუნქტივი (-ა) და მისგან ნაწარმოები ნამყოფ კონიუნქტივი (-ა + =მ).

ნამყოფ წყვეტილი

აორისტის მაწარმოებლისაგან განსხვავებით, პერფექტის მაწარმოებელი (-ე) მხოლოდ ფინიტურ ფორმებს აწარმოებს. ეს ფორმა ტრადიციულად აორისტად მიიჩნეოდა და “ჩვეულებრივი” აორისტისაგან განსხვავებით, “II აორისტად” იწოდებოდა. მართლაც, თითქოსდა ერთი მნიშვნელობის ფორმები გვექონდეს, ხოლო მათი დიფერენციაცია მხოლოდ ზმნის უსრული და სრული ასპექტის გადმოსცემაში მდგომარეობდეს. თარგმნისას, აორისტი გადმოსცემს ქართულის ნამყოფ-წყვეტილის უსრული ასპექტის მნიშვნელობას, ხოლო პერფექტი შეეფარდება ნამყოფ-წყვეტილის სრული სახის (პრევერბიან) ფორმას. უფრო მეტიც: ზოგჯერ ეს ფორმები ენაცვლება ერთმანეთს.

აორისტისაგან განსხვავებით პერფექტის ფორმაში აისახება მოქმედების ლოკალიზაცია დროში; იგი ყოველთვის, შეჭველად ნამყოფ დროის მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ფორმისათვის არ არის დამახასიათებელი აორისტის მნიშვნელობის განგრძობითობა და განუსაზღვრელობა.

პერფექტს აწარმოებს -ე სუფიქსი და, როგორც აღინიშნა ზემოთ, იგი გადმოსცემს ქართულის ნამყოფ-წყვეტილის სრული ასპექტის მნიშვნელობას, მაგ., ბ-ე=(ნე) “გააკეთა” აშ=(ნე)=ბ-ე//აშ-ბ-ე=(ნე) “იმუშავა”; ქარ=(რე)=ხ-ე < *ქარ=(ნე)=ხ-ე “იცხოვრა” (უკვე); ბაქ-ე=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ე “იყო” (უკვე), “იარსება”, “გახდა”.

წინადადებაში, სადაც პრედიკატის ფუნქციით გამოყენებულია პერფექტი, ხშირად პირის აღმნიშვნელი ნიშანი ზმნური სიტყვაფორმის გარეთ გვხვდება, ხოლო ზოგჯერ, საერთოდ არ მოგვეპოვება წინადადებაში.

პერფექტის მაწარმოებელი -ე სუფიქსი, პირის ფორმანტის დართვისას

ზოგჯერ რედუქციას განიცდის, მაგ., პურ=ტუნ “მოკედნენ” არ=ტუნ “მოვიდნენ”; ჭერ=ტუნ “გამოვიდნენ”... ეს მოვლენა განსაკუთრებით ნიჯურ კილოს ახასიათებს.

მყოფადი II

მყოფადი II იწარმოება -ო სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის. ეს ფორმა გამოხატავს შესაძლო, პოტენციურ მოქმედებას მომავალში: ბ-ო=(ნე) “გააკეთებს (ვინიცობაა, ვთქვათ-და)” აშ=(ნე)=ბ-ო//აშ-ბ-ო=(ნე)

“იმუშავენს“-ქარ=(რე)=ხ-ო < *ქარ=(ნე)=ხ-ო “იცხოვრებს“.

ბაქ-ო=(ნე)//ბა=(ნე)=ქ-ო “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება” ეს ფორმა ხშირად გვაძლევს აწმყოს გაგებას.

მნიშვნელობის მიხედვით მყოფადი ძირითადი და მყოფადი II, ზოგჯერ ზუსტად არ განიხილება ერთმანეთისაგან.

დრო-კილოთა წარმოება

ბრძანებითი კილო

იწარმოება უშუალოდ ზმნის ფუძეზე -ა სუფიქსის დართვით (მოძრაობის აღმნიშვნელ ექვს ზმნასა და იმ რთულმაწარმოებლიან ზმნებში, რომლებშიც მეორე კომპონენტად -ეც მეშველი ზმნა წარმოგვიდგება, ბრძანებითი კილოს ნიშანია -ი სუფიქსი). ბრძანებითის ფორმა კონიუნქტივის ფორმას ემთხვევა, თუ არ ჩავთვლით II პირს მხოლოდობითში, , კონიუნქტივისაგან განსხვავებით ბრძანებითი კილო , არ ირთავს პირში შემათანხმებელ ნაწილაკს, შდრ.: ბაქ-ა “იყავი” ბრძანებითი კილო () – ბაქ-ა=ნ “იქნები ალბათ, შესაძლოა იქნები” (კონიუნქტივი). გარდა ამისა, რამდენიმე ათეულ ზმნაში იმპერატივისა და კონიუნქტივის ფორმები არის განსხვავებული, ესენია: მოძრაობის აღმნიშვნელი პრეფიქსიანი ზმნური ფორმები (თა[ა]-ეს “წასვლა”; ბა[ა]-ეს “შესვლა”; ლა[ა]-ეს “ასვლა” და ა.შ.); ზმნა ფ-ეს “თქმა”; მეშველი ზმნისაგან ფ-ეს და ეც-ეს ნაწარმოები ორკომპონენტიანი ზმნები.

ბრძანებითი კილოს, როგორც წესი, II პირში გამოიყენება, თუმცა უდიურში ბრძანებითი კილო III პირსა და I პირის მრავლობითშიც მოგვეპოვება. პირის ფორმათა ფონეტიკური ცვლილების შედეგად უნდა იყოს მიღებული მაგ., ქარხ-ენ < *ქარხ-ა=ჲან (=ჲან – I პირის აღმნიშვნელი ნიშანი მრავლობითში), ბრძანებითი კილოს ფორმათა სქემა:

ვართაშნული კილო

- | | |
|-----------------------------------------------|------------------------|
| I მხ. პირი — | I მრ. პირი ბაქ=ენ |
| II მხ. პირი ბაქ-ა “იყავი”, “გახდი”, “იარსებე” | II მრ. პირი ბაქ-ა=ნან |
| III მხ. პირი ბაქ-ა=ნე | III მრ. პირი ბაქ-ა=ყუნ |

ნიჯური კილო

- | | |
|-----------------------|------------------------|
| I მხ. პირი — | I მრ. პირი ბაქ=ენ |
| II მხ. პირი ბაქ-ა | II მრ. პირი ბაქ-ა=ნან |
| III მხ. პირი ბაქ-ა=ნე | III მრ. პირი ბაქ-ა=თუნ |

კავშირებითი I კილო (კონიუნქტივი)

ბრძანებითი კილოს მსგავსად კავშირებითი I -ა სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, მაგრამ ბრძანებითი კილოს განსხვავებით, სხვა წარმოშობისაა უნდა იყოს – აბსოლუტივი + მეშველი ზმნა, რომელიც დღეს ოდენ პირის ნიშნითაა წარმოდგენილი. ამას ნაწილობრივ ადასტურებს ის ფაქტი, რომ კავშირებითი I ფორმა ყოველთვის პირის ნიშნებითაა აღნიშნული. თარგმანში კავშირებითი I ფორმას შეესატყვისება:

“აღბათ”, “შესაძლოა”, “იქნებ”/“იქნება” + ზმნა;

ბ-ა=ზ “გაგაკეთებ” [აღბათ, შესაძლოა], “იქნება გაგაკეთო” ბ-ა=ნე “გააკეთებს” [აღბათ, შესაძლოა]

აშ-ბ-ა=ზ “ვიმუშავებ” [აღბათ, შესაძლოა]; აშ-ბ-ა=ნე “იმუშავებს” [აღბათ, შესაძლოა];

ქარხ-ა=ზ “ვიცხოვრებ” [აღბათ, შესაძლოა]; ქარხ-ა=ნე “იცხოვრებს” [აღბათ, შესაძლოა];

ბაქ-ა=ზ “ვიქნები, ვიარსებებ, გავხდები” [აღბათ, შესაძლოა]; ბაქ-ა=ნე “იქნება”, “იარსებებს”, “გახდება” [აღბათ, შესაძლოა].

ზმნები

აგება, აშენება - ბიყეს, ბიყესუნ, ბიყსუნ; სერეს, სერესუნ; სერბეს, სერბესუნ.

აგებს, აშენებს - ბინყესა, ბიყსანე; სერრებსა, სერბესანე. [ა] იგება' შენდება - ბიყნესა, ბიყესანე; სერრესა, სერესანე; აიგო, აშენდა - ბიყნეცე, ბიყეცენე, სირრეცე, სირეცენე. აიგება, აშენდება - ბიყელაღლე, სერელაღლე.

ადგომა, წამოდგომა -აზეს, აზესუნ. დგება - ანეზესა, აზესსა. ადგა - ანეზერე, აზერენე. ადგება - აზაღლე

ამბობს - იხ. თქმა

არის - ბუ-ნე, არიან - ბუ-ყუნ (ნიჯ. ბუტუნ). შდრ. მყოფი-ბუ

არსებობა - იხ. ყოფნა

ასვლა - ლაღეს, ლაღესუნ, ლაღეს[უნ], ლაღსუნ (ვართ.); ლასუნ (ნიჯ.). აღის - ლაღნესა, ლაღსანე. ავიდა - ლაღნეცე. ავა - ლაღლაღლე.

ატანა, აყვანა - ლაღეს, ლაღესუნ (ვართ.), აჩეს, ლაღსუნ (ნიჯ.). ააქეს, აჰყავს - ლაღნეჩესა, ლაღნეჩეშჩა, ლაღნეშჭა; ლაღესანე. აიტანა, აიყვანა - ლაღნეჩერე, ლაღნეჩერენე.

აქვს, ჰყავს - ბუ-ტად (ნიჯ. ტუხ-პუ) აქვთ, ჰყავს - ბუ-ყო (ნიჯ. ტახ-პუ)

აღება, აყვანა - აყეს, აყესუნ, აყსუნ (ვართ.), ჰყავს, ჰყავსუნ, ჰყავსუნ (ნიჯ.). იღებს, იყვანს - ანყესა. აღება, აყვანა ხღება, აიღება, - აიყვანება - აყნესა.

აყვანა - იხ. ატანა, აღება

დაბადება, შობა - ბაქეს, ბაქსუნ. იბადება, იშობა - ბანექსა. დაიბადა, იშვა - ბანექე. შდრ. ყოფნ, გახდომა

გაგდება - 1. ჭევკეს, ჭევკესუნ, აგდებს, ყრის (გარეთ ...) ჭევნეკსა, ჭევკესანე (ტომ ...). 2. შაპეს, შაპესუნ; შაპევკეს, შაპევკესუნ. აგდებს, ყრის (საერთოდ ...), აფრთხობს, თავიდან იშორებს - შაპნესა, შაპესანე; შაპესანე; შაპევნექსა, შაპევკესანე ...

გადაღება, გადაყრა - ბოსეს, ბოსსუნ. [გადა]აღებს, [გადა]ყრუს ბონესსა

გადასვლა - ჭებაქეს, ჭებაქსუნ (ვართ.), ჭრვაქეს, ჭრვაქსუნ (ნიჯ.). გადადის - ჭენებაქსა (ვართ.), ჭრვაქსანე (ნიჯ.)

გამოლევა, ამოწურვა - 1. მარცეს, მარცესუნ. თავდება, იწერება - მარრეცესა, მარრესცა, მარრესწა. 2. ჩიხარკეს, ჩიხარკესუნ. თავდება, მთავრდება - ... ჩიხარრეკსა.

გაკეთება, გაოცება - იხ. კეთება

გაკვირება, გაოცება - აყეს, აყსუნ. უკვირს - აყნესა, აყესანე. გაუკვირდება - აყნეცე (შდრ. აღება ...)

გამოვარდნა - ჭეფტეს, ჭეღესუნ, ჭეფეს, ჭესუნ. გამოდის - ჭენესსა. გამოვიდა - ჭელაღლე.

გაყიდვა - თოგ-ღეს, თოგ-ღესუნ. ჰყიდის - თოგ-ნე-ღესა, თოგ-ნე-სტა

გაშვება - ბართეს, ბართესუნ. უშვებს - ბარრესა. გაუშვა - ბარრეტტე. გაუშვებს - ბარკაღლე

გლეჯა - ჩუქეს, ჩუქესუნ. გლეჯს - ჩუნექსა. იგლიჯება - ჩუქნესა

დაღება - ლახეს, ლახესუნ, ლახსუნ. დებს - ლნესსა. იღება - ლახნესა

დაკვრა - ფარფეს, ფარფესუნ. უკრავს - ფარრესა. დაუკრა - ფარრეფე.

დალაპარაკება - ჯთ-ფეს, ჯთ-ფესუნ. ლაპარაკობს - ჯთესა

დაღევა - იხ. სმა. - სულის დაღევაა - ეღმუხ-თასტუნ

დამარხვა - ბოშტეს, ბოშტესუნ (ბოშდესუნ). მარხავს - ბოშნედესა, ბოშნესტა, ბოშტესანე. შდრ. დარგვა

დარგვა - ბოშტეს, ბოშტესუნ (ბოშდესუნ). რგავს ხეს - ბოშნედესა (ბოშნესტა, ბოშტესანე). ხოდახ. შდრ. დამარხვა

დასკუპება - 1. კუწეს, კუწესუნ. მოვა [და] დასკუპდება - არი-კუწელაღლე, ეღალ-კუწელაღლე, ეღალ-კუწელაღლე. 2. კუწდეს, კუწდესუნ. დაასკუპებს - კუწელაღლე.

დაღვრა - ციფეს, ციფესუნ. ღვრის - ცინეხა. დაღვარა - ცინეფე. დაღვრის - ციკაღლე. შდრ. დაყრა.

დაღუპვა - 1. ბათკეს, ბათკესუნ. იღუპება - ბათთეკსა. 2. ბათეკეს, ბათეკესუნ. ღუპავს - ბათევენეკსა.

დაყრა - ციფეს, ციფესუნ. ყრის - ცინეხა. დაყარა - ცინეფე. დაყრის - ციკაღლე. შდრ. დაღვრა.

დაწყება, წამოწყება ბურჯეს, ბურჯესუნ, ბურხეს, ბურხესუნ. იწყებს - ბურეკესა, ბურრეხესა.

დახურვა - ბუტკეს, ბუტკესუნ. ხურავს, ახურავს - ბუტტეკსა, ბუტკესანი.

დაჯღღმა - არცეს, არცესუნ. ჯღღება - არრეცესა, არრესცა, არრესწა. დაჯღღა - არრეცე.

დგას - ჩურფი-ნე (ნიჯ. ჩურფიო-ნე). დგანან ჩურფი-ყუნ (ნიჯ. ჩურფიოტუნ). შდრ. მდგომარე - ჩურფი, ჩურფიო.

ვარდნა, გდება - ბითესუნ, ბითესუნ, ბისთუნ. ვარდება - ბინეთესა, ბინესთა. შდრ. წაქცევა.

ზის - არცი-ნე (ნიჯ. არციო-ნე). სხედან - არცი-ყუნ (ნიჯ. არციო-ტუნ). შდრ. მჯღღმარე - არცი, არციო.

თესვა, დათესვა - ბიტეს, ბიტესუნ, ბიტესუნ, ბისტუნ. თესავს - ბინესტა ითესება - ბითნესა, ბიტტესა

თქმა - ფეს, ფესუნ. ამბობს - ეხ-ნე, ეხანე. თქვა - ფე-ნე. იტყვის უკაღლე, უკაღ-ნე.

თხოვნა - ბესეს, ბესესუნ, ბესესუნ. თხოულობს, ითხოვს, სთხოვს - ბენესესა, ბენესესა.

კეთება, გაკეთება, ჩადენა - 1. ბეს, ბესუნ. აკეთებს - ბესანე. რას აკეთებ? - ეკან-ბესა. 2. სერბეს, სერბესუნ. გავაკეთეთ უჯრები, ყუთები - სერანბე ყუთიუხ (ვართ.), ყითიუხ-ან-სერბიო (ნიჯ.) შდრ. აგება, აშენება 3. *-დეს, *-დესუნ (ცალკე არ იხმარება. გამოიყენება მეშველ ზმნად): თოგდესუნ (გაყიდვა), გურ-დესუნ (წაქცევა)... 4. *-კეს, *-კესუნ. (ცალკე არ იხმარება. გამოიყენება მეშველ ზმნად):

ბათ-კესუნ (დაღუპვა), ჭეკესუნ (გაგდება)... 5. *-ტეს, *-ტესუნ (ცალკე არ

იხმარება. გამოიყენება მეშველ ზმნად): ურ-ტესუნ (დართვა)...

კვლომა, მოკვლომა - ბიფეს, ბიფესუნ; ბიეს ბიესუნ. კვლება - ბიფესანე, ბიესანე.
მოკვლება - ბიფალლე, ბიფალლე. - მოკვდა - პურენე. შდრ. მკვდარი - პური,
პურიო.

კრეფა - ბოყეს, ბოყესუნ, ბოყსუნ, (ვართ.), ჰაყეყეს, ჰაყეყესუნ, ჰაყესუნ (ნიჯ.).
კრეფს - ბონეყსა (ვართ.), ჰაყეყესანე

მიღწევა, წამოწევა, დაწევა, - ბაპეს, ბაპესუნ, ბაპსუნ. მიადწია, წამოეწია, დაეწია,
სწვდა - ბანეპე

მიცემა, - თადეს, თადესუნ, თასტუნ. აძლეფს, თანესტა, თანედესა. მისცა -
თანედე. მიეცა - თადლეცე

მოკვლა - ბესპეს, ბესპესუნ (ბესბესუნ). კლავს - ბესნესპა. მოკლა - ბესნეპე

მიპარვა - ბაშყეს, ბაშყესუნ. ჰპარავს, იპარავს - ბაშნეყსა

მოპოვებაა, შოვნა - ბაჰესუნ, იშოვება, არის, მოიძებნება - ბაჰნესა

მოსვლა - ედეს, ეფეს, ეეს; ედესუნ, ეფესუნ, ეესუნ. მოდის - ენესა.. მოვიდა - არენე.
მოვა - ელალლე

მოტანა, მოყვანა - ეჩეს, ეცესუნ, ესჩუნ, ესტუნ, ეშტუნ. მოაქეს, მოჰყავს - ენეჩესა,
ენესჩა, ენეშტა. მოიტანა, მოიყვანა - ენეჩერე.

მოტანილება, მოყვანილება - ეჩესდეს, ეჩესტეს; ეჩესდესუნ, ეჩესტესუნ. მოატანილა,
მოაყვანილა - ეჩესნედე

მოწყვეტა, წყვეტა, წყდომა - 1. ჩუქეს, ჩუქესუნ, ჩუქსუნ. წყვეტს - ჩუნექსა. წყვეტს
ყვავილს, რტოს - ჩუნექსა ციციკას, ჭიკნუხ. წყდება - ჩუქნესა. მოსწყდა -
ჩუქნეცე. შდრ. გლეჯა, მოგლეჯა. 2. ბოტეს, ბოტესუნ, ბოსტუნ. წყვეტს (წყალს) -
ბონესტა (ხენახ). მოწყდა, შეწყდა (წყალი) - ბოტტეცე (ხე...) შდრ. - ჭრა, მოჭრა,
გაჭრა

მღერა - მაღფეს, მაღფესუნ. მღერის - მაღნესა. იმღერა - მაღნეფე. იმღერებს -
მაღკალლე

მუშაობა - აშბეს, აშბესუნ. მუშაობს - აშნებსა, აშბესანე

მორთვა, მოაზმვა - 1. ზერეს, ზერესუნ. ირთვება, იკაზმება - ზერრესა. 2.
ზერევეკეს, ზერევეკესუნ. რთავს, კაზმავს - ზერევენეკსა

დარტყმა - დუდეს, დუდესუნ. არტყამს, ურტყამს - დუნელსა, დუდესანე.

სიყვარული; სურვილი, წადილი - ბუყეს, ბუყესუნ, ბუყსუნ (ვართ.); ჩურესუნ
(ნიჯ.). უყვარს; სურს, სწადს - ბუდუესა (ვართ.), ჩურნესა (ნიჯ.)

სმა, დაღევა - უღეს, უღესუნ, უღესუნ. სვამს (წყალს ...) უნელსა (ხენახ...)
არცესნესტა, არცესნედესა (ზიკლამონალ ...)

დასმა - არცესტეს, არცესტესუნ (არცესდესუნ). სვამს (საქანლაზე ...)
არცესნესტა, არცესნედესა (ზიკლამონალ...)

სწავლა¹, სწავლება - ზომბეს, ზომბესუნ. ასწავლის - ზომნებესა, ზომნებესა

სწავლა, დასწავლა - ზომბაქეს, ზომბაქსუნ. სწავლობს, მეცადინეობს -
ზომნებაქსა

გატეხა - ხახაფეს, ხახაფესუნ. ტეხს - ხახანესა. გატეხა - ხახანეფე. გატეხს -
ხახაკაღლე

ტყლომა - ხახაეს, ხახაესუნ. ტყდება - ხახანესა. გატყდა - ხახანეცე. გატყდება -
ხახაეღალლე.

მოხდენა - ზერრესა, არ უხდება - თე-ნე-ზერესა. მოკაზმვა, შდრ. როვა².

ფქვა, დაფქვა - ბერხეს, ბერხესუნ. ფქვავს - ბერრესსა, ბერხესანე

ქონება, ქონა - ბაქეს, ბაქსუნ. აქვს (ხოღმე), მოეპოვება - ბატაქსა.

ყიდვა - აყეს, აყსუნ. ყიდულობს - ანყესა, აყსანე (შდრ. აღება ...)

ყოფნა, არსებობა - ბაქეს, ბაქსუნ. არის (ხოღმე), ხდება - ბანექსა, ბაქსანე. იყ,
მოხდა - ბანექე, ბაქენე შდრ. - ბადება, შობა

შეგდება, ჩაგდება, შედება - ბასაქეს, ბასაქსუნ. აგდებას სდებას (შიგ ...) ბასანექსა,
ბასაქსანე (ბოშ...). შეაგდო, ჩააგდო, შესდო - ბასანექე, ბასაქენე

შევარდნა, ჩავარდნა - ბაძტეს, ბაძტესუნ (ბაძდესუნ). შევარდა, ჩავარდა -
ბაძნეღე

შესვლა - ბაღეს, ბაღეს, ბაღეს; ბაღესუნ, ბაღესუნ, ბაღესუნ. შედის - ბაღესა,
ბაღესანე. შევიდა - ბაღენეცე, ბაღენეცე. შევა - ბაღეღალლე

შეტანა, შეყვანა - ბაჩეს (ვართ.), ბაჩეს (ნიჯ.); ბაჩესუნ (ვართ.), ბაჩესუნ (ნიჯ.).
შეაქვს, შეჰყავს - ბაჩენესა, ბაჩესანე; ბაჩენეშჷა (ვართ.), ბაჩენესა, ბაჩესანე
(ნიჯ.)

შეშინება - 1. შიში, შიშის ქონა - ყობეს, ყობსუნ. ეშინია, შიშობს - ყოტუბსა,
ყობსატუხ (ვართ.), ყონებსა, ყობსანე (ნიჯ.) 2. ყო-დესტეს, ყოდეტესუნ. აშინებს -
ყოდესნესტა, ყოდესტესანე

შეშრობა (მცირედ გაშრობა) - ეწეს, ეწესუნ, შეშრა - ეწენეცე, ეწეცენე.

შედლება (უნარის გამოჩენა) - ბაქეს, ბაქსუნ. შეუძლია, უნარყ აქეს - ბატუქსა, ბაქსატუხ. არ შეუძლია - თე-ტუ-ბაქსა

შობა, დაბადება, ყოლა (ნაშიერისა) - ბიხეს, ბიხესუნ, ბიხსუნ. შობს, ბადებს - ბინესსა, ბიხსანე. იშობა, იბადება - ბიხნესა. შდრ. ბადება ...

შრობა, გაშრობა - 1. გარიბაქეს, ყარიბაქსუნ. შრება - ყარინებაქსა, ყარიბაქსანე. 2. ყარიბეს, ყარიბსუნ. აშრობს - ყარინებსა, ყარიბესანე, ყარიბსანე. შდრ. ხმობა

ჩასვლა - ციღეს, ციღეს, ციღეს; ციღესუნ, ციღესუნ, ციღესუნ. ჩადის - ცინესა, ცისანე. ჩავიდა - ცირენე. ჩავა - ციღალლე

ჩატანა, ჩაყვანა - ციგკეს, ციგკესუნ. ჩააქეს, ჩაჰყავს - ციგნეკსა, ციგკესანე

ჩატევა, დატევა - 1. ბაყეს, ბაყესუნ, ბაყსუნ. ეტევა - ბანეყსა, ბაყსანე. ჩაეტია, დაეტია - ბანეყე, ბაყენე. 2. ბაყეგკეს, ბაყეგკესუნ. ატეგს - ბაყენეგკესა, ბაყეგკესანე. ჩასტია, დასტია - ბაყენეგე, ბაყეგკენე

ჩაფლვა, ჩადება (მიწაში) - ბათკეს, ბათკესუნ. ფლავს, სღებს მიწაში ქვევრს ... ბათთეკსა კოფახ ...

ცემა - ტაფეს, ტაფსუნ. სცემს - ტაჰნესა, ტაჰნესანე. სცემა - ტაჰნეფე, ტაჰნენე. სცემს - ტაჰკალლე.

ცხოვრება - ქარხეს, ქარხესუნ. ცხოვრობს - ქარრესსა, ქარხესანე (ვართ.), ქარრესსა, ქარხესანე (ნიჯ.)

შეძვრენა - ჩუხეგკეს, ჩუხეგკესუნ; ჩუხტეს (ჩუხდეს), ჩუხტესუნ (ჩუხდესუნ). აძვრენს, ჩრის - ჩუხენეგკესა, ჩუხნესტა, ჩუხტესანე

ძვრომა - 1. ჩუხეს, ჩუხესუნ. ძვრება (ღობეში ...) ჩუხნესსა (ჩაღლეუ ...). 2. ჩუქეს, ჩუქესუნ. სძვრება (ტყავი ...), ჩუქნესა (ტოლ ...)

წასვლა - თაღეს, თაღეს, თაღეს; თაღესუნ (ვართ.), თაღსუნ (ნიჯ.). მიღის - თანესა, თაღსანე. წავიდა - თანეცე, თაცენე. წავა - თაღალლე.

წაქცევა - 1. გირეს, გურესუნ, გურსუნ. იქცევა, ვარდება - გურრესსა, გურრესანე. 2. გურდეს, გურდესუნ. აქცევს - გურრედესა, გურდესანე, გურრესტა. წააქცია - გურრედე, გურდენე

წადება, წაყვანა - თაშეს, თაშესუნ, თაშსუნ, თაშშუნ. მიაქეს, მიჰყავს - თანეშესა, თანეშშა. წაიღო, წაიყვანა - თანეშერე, თაშერენე.

წევს - ბასკი-ნე (ნიჯ. ბასკიო-ნე). წვანან - ბასკი-ყუნ (ნიჯ. ბასკიო-ტუნ) შდრ. მწოლარ - ბასკი, ბასიო

წვა - ბოკეს, ბოკესუნ, ბოკსუნ. იწვება - ბონეკსა, ბოკსანე

წვდომა - იხ. მიღწევა

წოლა, დაწოლა - ბასკეს, ბასკესუნ. წვება - ბასნეკსა, ბასკესანე

- ზუ ბეზ ხალიკუნ კუანო –ზ-ესა, ბუ-ზაცსა ჭვლავი თალა-ზ უშენკ.
- ეფ კუა შუ-ა-ბუ. მამა, ნანა კუა-ყუნ-თე, ეკა-ყუნ-ბესა?
- კუა-ყუნ, არცი შუმ-ყუნ-უქსა.
- ზა იბაქე-ზა, თე ვი ბაბა აზარუ-ნე, თე-ზა-ბა, აფჯია-სერი! ...
- აფრი თე-ნე, სერი-ნე, ბეზ ბაბა აზარუ-ნე-დ, ამა ისა საკი შელ-ლე, არცეს ბატუქსა.
- ევანტასო მალა-ა შონო ბასკინე, ყაჭკალა გა ეკა-ტად.
- ბეზო თურელ-ცირიკ ჰარ გა ყაჭ-ტა-ენა, სადალ აბუზ ბულ-ტა-ყაჭენა, ბუქუნალ საალ ულზოზ.
- ჩუქი ქორ-რე, ზა ისა ეფ კუა ეეს ბაქალ-თე-ზა. ვი ბაბას უნ, შონო აშნე, საფსა ბაქადტუ უყუტულუ-დენ მე ბდას ბემ კუა-ყან-არი.
- აგანამ შელლე, უზკო...

ნიჯური:

ისტლათ

- ჰიკან-ბსა? უფა ზა, ჰუნ მალინ-ესა, მად-ნ-თადსა?
- ზუ ბეზ ამიკინ კოდახუნ -ზუ-ესა, ჩურ-გზ-სა ჭვლავი თალა-ზ უშენაკ.
- ეფ კოდა შუ-ა-ბუ. ვი ბაა, ნანა კოდა-ტუნ-თე, ჰიკან-ტუნ-ბსა?
- კოდა-ტუნ, არცი შუმ-ტუნ-ჰუქსა.
- ზუ იბაქე-ზუ, თე ვი ბავა აზარუ-ნე, თე-ზ-ავა, აფრია-სერი! ...
- აფრი თე-ნე, სერი-ნე, ბეზ ბავა აზარუ-ნე-დ, ჰამა ისა სად შაატ-ე, არცეს ბანექსა.
- ჰევატხახუნ მალადა შოო ბასკინე? ჰი გა ყაჭ-ე?
- ბეზუნ თურალ-ცირიკ ჰარ გა ყაჭ-ენე, ჰამა ბუთუნტოხუნ ავგზ ბულ-ე-ყაჭე, თაფანალ, სალ ულზოზ.
- ჩუქი ქვთარ-ე, ზუ ისა ეფ კოდა ედეს თე-ზ-ბაქო, ვი ბავან, აშნე, საქსა ბაქადნ. უფა, აჰან ბანექო უყუტულუ-დენ მე ბდას ბემ კოდა-ყან-არი.
- აჰან შაატ-ე, უზკო...

უდიურ-ქართული ლექსიკონი

აა! ააჰ! აჰ! – აჰ! ნეტავ! (შორ.).

აბა, აბო, ავა (ნ.); აბალუ – მცოდნე. აბაბაქეს – ცოდნა, გაგება.

აბალულ – ცოდნა.

აბუზ, ავუზ (ნ.), ალუზ (ნ.) – მეტი, ჭარბი, უკეთესი.

აბუზბეს, ავუზბეს (ნ.) – მომატება, მიმატება, გადამეტება.

ად – სუნი.

ადამარ, ამდარ (ნ.) – ადამიანი.

აზარ – ავადმყოფობა, დაავადება.

აზარუბაქეს – ავად გახდომა.

აკამინ – ნახვამდის.

აკეს – ნახვა, ხედვა, გამოჩენა, აღქმა.

ა^ლ – დაწნული, დახლართული, მიხვეულ-მოხვეული.

ალა – მალა, ზემოთ.

ალალუ – მალალი.

ა^{ლამ} – ბროწეული.

ალაფ – თივა.

ალაყ^ო – მოუქნელი, დაბნეული.

ა^{ლესუნ} – ახვევა, გადახლართვა.

ალვერ – ვაჭრობა.

ა^{ლღეს} – ქსოვა, დაწვნა.

ა^მ – მხარი (ადამიანის, ცხოველის); ქელი; მიმართულება; კავების სამაგრი კოჭი.

ამა (ამმა) – თუმცა, მაგრამ, არადა (მაქვ. კავშ.).

ამა – მამილა, ამალარ – მამილაშვილი (კაცი);

ამაჰინარ – მამილაშვილი (ქალი).

ამაღ^ა – უსაქმური.

ამბარ – ბორცვი, გროვა.

ა^{მკური} – მთქნარება.

ამცი – ცარიელი.

ანღაზბეს – გრძნობა, მიხვედრა.

აიზეს – აღგომა, აღდგომა (ხრისტოს აიზერე “ქრისტე აღსდგა”).

ა^{ინ} – საფუარი.

აინა – მინა, შუშა.

აპ – ოფლი.

აპერ – ოჯახის უფროსი, უხუცესი.

არ – მსხალი.

არაბა – ურემი.

არაზ – შიშის ზარი, განგაში.

არაკ – ზვარაკი, კურო.

არამტოლ – ტურა.

არუმ – ხორბალი.

არუხ (Pl. Tant.) – ცეცხლი, ალი.

არცეს – დაჯდომა.

ასღან – ლომი.

ასტარ – სარჩული.

აფჩი – ტყუილი.

აფარ – ღვეზელი.

აფურე – ლოცვა, კურთხევა.

ა^{ქტეს} – აჩქარება.

აღალა – წვიმა.

აღუ – შხამი, სიმწარე.

აყეს – ალება, შესყიდვა.

აშ – საქმე.

აშბეს – მუშაობა.

აშიღ – სახსარი.

აჩი – თამაში.

აჩი – დაკარგული.

აწარ – წმინდა, სუფთა, ანკარა.

ანარ – საადღეომო საკლავი.
ანაფეს – აკილება, წამოკილება.
აჭა – მარჯვენა.
ანესუნ – დაჯახება.
ანელ – შორს.
ანმალ – სულელი.
ანტეს – მიჯახება, მირტყმა, დაკვრა.
ანწიმა, აღსიბად (ნ.) – აღდგომა.
ანჭუმ – სიცილი, ღიმილი.
აჯელ (ნ.) – კალთა (იხ. **ეჯელ**).
აჯუნ – ახო, ყამირი.
აჯალ – ბედისწერა, სასჯელი.
აჯილ – რისხვა, ჯავრი, ბრაზი.
აჰა! – აჰა! აგერ! (შორ.).
ავარამ – თუ, თუკი.
ავბარ – ლექსი.
ავტუგ – საკლავი.
ავარიკ – ბერწი.
ავიკ, ავი – ბიძა მამის მხრიდან
ავიკუნ ღარ – ბიძაშვილი ვაჟი (მამის მხრიდან).
ავიკუნ ხინარ – ბიძაშვილი ვაჟი (მამის მხრიდან).
ავარ! – (მიმართვა ქალთა მიმართ).
ავგიშტა – სათითური.
ავბ – სირცხვილი.
აველ (ან დელ, ადელ) – ბავშვი.
ავზ – სოფელი.
ავთ – სიტყვა, სათქმელი.
ავრქა – ხვალი.
ავრმინ – სომეხი.
ავრუგ – ჭერამი.
ავბა (ვ.), ავა (ნ.) – მამა.
ავბაყ – უუნარო, მოუხერხებელი.
ავგ – თავადი, ბატონი, ღიღბული; ნეფე, სასიძო.

ავგარი – გუშინწინ.
ავლაყ – ბაყაყი.
ავზო – ზოგიერთი.
ავზუკ – მკლავი.
ავ[დ]ეს – შესავლა.
ავლ – მკეთებელი.
ავლა – შვილი, ბოკვერი, ბარტყი.
ავლან – თავსატეხი, პრობლემა.
ავლანყო – მაცვალი.
ავლაჯა – პაწაწინა, პაწია.
ავლონა – სესხი.
ავნდ – ფონი, წყალგამყოფი, წყალსატევი, აუზი.
ავბ – ბალი.
ავრ – ნაყოფი; საკვები ულუფა; ნაწილი, წილადი, კუთვნილი წილი.
ავრბეს – ჩამორიგება, ღარიგება.
ავრუ – კედელი.
ავრუთ – თოფის წამალი, ღენთი.
ავსკეს – ღაწოლა.
ავსმა – გროვა.
ავსტ – ჭიდილი.
ავსტე! – კმარა!
ავფეს – ჩაყრა, ჩასხმა.
ავ ფეს – ყეფა.
ავფტეს – ჩავარდნა.
ავქეს – ყოფა, არსებობა, განდობა; შეძლება.
ავლ – ბაწარი, ძაფი.
ავლენა – გუშინწინ.
ავყეს – ტევა, განთავსება (იძულებით).
ავშა – ღამპალი, მომპალი.
ავშყეს – მოპარვა, ქურდობა.
ავწ – ასი; ქვევრზე დასაფარებელი ქვა.
ავჭან – ზურგი, ბეჭი.

ბაჭანა – მერცხალი.
ბახტ – ბელი.
ბეგამ? – ნუთუ? ვითომ?
ბელულ – ბარი.
ბეზი – ჩემი (კუთვნი. ნაცვალ.).
ბეთარ – უარესი.
ბელუ – პირუტყვი.
ბენდ – კვირა დღე.
ბენყ – სიბნელე.
ბენშ – მოძღვარი, სასულიერო პირი.
ბერ – ბალიში.
ბერხეს – დაფქვა.
ბეს – კეთება.
ბესალი – მათხოვარი.
ბესალო – მთხოვნელი.
ბესბალო – მკვლეელი.
ბესბეს – მკვლელობა.
ბე^ექ – ნემსი.
ბე^ექტეს – სლოკინი.
ბელ – მზე.
ბელ აბეს – აღმოჩენა, პოვნა.
ბელ ალუ (ბიდ^ე ალუ, ბულ^ე ალუ) – ღრმა.
ბელ ბილანზარ – შუადღე, თაკარა.
ბეშ – წინათ, უწინ.
ბეში – ჩვენი.
ბეჯან (ვ.), ბაჯანალ (ნ.) – ცოლის და.
ბია-ბია – კუნელი.
ბიდასუნ – ღამით, საღამოს.
ბი^ე – მძიმე.
ბი^ე ბი^ე – ხილი.
ბიბიკ – ბიბილო (ფრინველის).
ბი[ე]ეს – მოკვლობა, სიკვდილი, დაღუპვა.
ბიზ – წვეთიანი, საღვინო, ისარი, სარჭი.
ბინ – რძალი, პატარძალი.
ბინორა – საძირკველი.
ბიპ – ოთხი.
ბიპშამათ – ოთხშაბათი.
ბირინწ – ბრინჯი.
ბისი – ძველი, მეორადი, ძონძი, ჩვარი.
ბიტეს – თესვა.
ბიტუნ – ყანა, ნათესი.
ბილ – ულვაში.
ბილ^ე – შუაგული, ცენტრი.
ბიყეს – დაჭერა, პატიმრობა; აშენება, აგება.
ბიში – ქადა.
ბიჭი – მკვახე, მოუმწიფებელი; უძი.
ბინალუხ – ღმერთი, უფალი.
ბინეს – შობა, გაჩენა.
ბობორ^ე ალ – ბეჭელი.
ბოკეს – წვა, ხრუკვა.
ბოლ – უხვი, ბევრი, უამრავი, უღვევი.
ბოღ – სიმაღლე.
ბოღლუ – თანადი.
ბორზუნ – მარცვლეული.
ბორჯ – ვალი.
ბოტი – მოჭრილი, გადაჭრილი.
ბოლ^ე ოფეს – ყვირილი, ბლავილი.
ბოყ^ე – ღორი.
ბოყო – ცომი.
ბოშ – შიგნით (თანდ.).
ბოში – მაძლარი.
ბოშტეს – დამარხვა (აღამიანის), ჩაფლვა (ნერვის).
ბორ^ე უ – სქელი; ხშირი.
ბონეს – ხარშვა, მონარშვა.
ბონ^ე მოლ – ცხვირი (Pl. tant.).

ბონო – გრძელი.
ბონობაქეს – წამოწოლა.
ბონობეს – დაგრძელება, გაჭიმვა, გაწელება.
ბუ – ყოფნა, ქონა, ყოლა.
ბუდ – ბარკალი.
ბულ – თავი, მწვერვალი.
ბუჟ – თავმომწონე.
ბუჟ ეფეს – შეხორცება.
ბუი – სავსე
ბუიბეს – ავსება, შევსება.
ბურუხ – მთა, მთები (Pl. Tant.).
ბურჯი – დაწყებული.
ბუსა – მშვიერი.
ბუტ – დახურული, დაფარული.
ბუტკეს – დახურვა.
ბუქუნ – მუცელი.
ბულ – ორთქლი.
ბულ^ა – ნაპოვნი.
ბულ^{ბეს} – პოვნა.
ბუყეს (ვ.) – სიყვარული, შეყვარება. ნღობა, სურვილი, მოსურვება.
ბუშ – აქლემი.
გა – ადგილი, სივრცე, ტერიტორია, მიწა; სათაესო, შესანახი ადგილი; საწოლი, მოსასვენებელი ადგილი; ღონე, ღირსება; განცდა.
გაღ – მონა, ყმა, მოჯამაგირე.
გაღღ – ზაქი.
გავალ – დიდი ტომარა.
გავასეინ – სახნისი.
გათურ – ბილიკი, სასიარულო, საქარავნო გზა.
გალა – ვრცელი, ფართო, დიდადგელიანი.
გაღმპ – ლტოლვილი, მაწანწალა, მომთაბარე, ადგილნაცვალი.
გამ – ცხელი, თბილი.

გპრ – არეული, შერეული, შეერთებული, შერწყმული; მღვრიე.
გპრპ – საჭირო.
გპრპშ – საფლავი.
გეზ – კვალი, გეზი.
გელე (ნ.) – ბევრი.
გელეშ – ცეკვა.
გელ, გოლ – ტბა, ტბორი, გუბე.
გემიშ – კამეჩი.
გენგ – ფართო.
გერ – გერი; ნერგზე შემორჩენილი გახარებული ტოტი.
გერამაწან – პაწაწინა; კენკრას ნაყოფი.
გერგეც – ეკლესია, სალოცავი; წმ. გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია.
გერეწ – ნერწყვი.
გიპ – ნალველა.
გიზგი – სარკე.
გილ – მარცვალი.
გილეი – ჭორი.
გიმგპ (გუმგპ, გუმგასანა) – სალაცხო.
გიმიშ (გუმუშ) – ვერცხლი.
გირბეს – აკრეფა, შეგროვება.
გოგ (გეგ) – ცა.
გოღაქ – მოკლე, მოკლეღ.
გონ – ფერი.
გონბეს – შეღებვა.
გონნუთ – უფერული.
გოროხ – საწყალი, საცოდავი.
გოღან – გამხლარი.
გუგელ – ჭოტი.
გულ – საცერი.
გულპპ – რეპანი.

დახყაზ – ჭიშკარი.
ღუგმჳ – ღილი.
ღუ^ნ გუნ – კოჭრი, სიმსივნე, გამაგრება.
ღუგუნ – კვანძი.
ღუვან – კანონი, კანონიერება.
ღუზ – სწორი.
ღუზბეს – გარიგება; გასწორება, ჩასწორება.
ღუზუნ – დაბლობი, ვაკე, ველი.
ღუჲ – ბოთე, ღოყლაპია, უტვინო.
ღუნღუკ – ნისკარტი.
ღუფ – ცისარტყელა.
ღუღეს – ღარტყმა, დავახება.
ე? (ვ.), **ჰე** (ნ.) – რა? რომელი?
ე^ნ ბეს – კერვა.
ე^ნ ველ – სამლოცველო, საყდარი, ეკლესია.
ევლჳდ – გენი, გვარი (მამის მხრიდან).
ეზ – ხნული, ხვნის მიმდინერეობა.
ეზბეს – ხვნა.
ეთჳრ? – როგორ?
ეკა? (ვ.), **ჰეკა?** (ნ.) – რა?
ეკალუ? – რატომ?
ელას – ფიცი.
ელასფეს – დაფიცება, პირობის დადება.
ელ – მარილი.
ე^ნ ლემ – ვირი, საყრდენი (ხის).
ელმუხ – სული, სიცოცხლე (Pl. Tant.).
ელფეს – ყივილი (მამლის).
ემმა? **ემმო?** – რამდენი?
ემმასა? როდემდე?
ენე – უკვე.
ერღვ – იხვი.
ერეყ – თხილი.
ესენ – შარშან.

ეტაჲ[ში]? – ვისი? რისი?
ეტულ? **ეტულა?** – რამდენად? რა ფასია?
ეფსენ – წელს, ამ წელს.
ე^ნ ჭან – თქვენ.
ეფეს – შენახვა.
ე^ნ ჭი – თქვენი (კუთვ. ნაცვალ.).
ე^ნ ქ – ცხენი.
ელელ – ცხვარი.
ეყ – ხორცი.
ეყყარა? – რამდენი?
ემ^ნ – ვაშლი.
ეჭ (ვ.), **ოჩ^ნ** (ნ.) – კალო.
ენ – მოსამკელი.
ენბეს – მკა.
ენყარა? (**ეჰყარა?**) – რამდენი?
ეჳ^ნ – კალთა.
ეჳურა? – როგორი? რანაირი?
ეჳიზ – თავმდაბალი.
ეა^ნ – მორწმუნე, ღამჯერი; და (კავშ.).
ეაღ^ნ – ღრო.
ეაღლ^ნ – შინაური, საქმეში ჩახედული.
ეაღულ – რწმენა, რელიგია.
ეა^ნ ნ, ე^ნ ჭან – თქვენ.
ეა^ნ ნყო – ენძელა.
ეარ – აღზნებული, გალიზიანებული.
ეარბაქეს – გაგიჟება, ცოფით დაავადება.
ეართივჳრ – ფერისცვალება (რელიგ.), ნაყოფის (ხეხილის) მომწიფება.
ეარრუ – მდიდარი.
ეაჩა – ბელობა, პუტკრის ოჯახი.
ეახტ – ღრო.
ველ – თხა; **ველ ჭიკ** – თიკანი.
ვი – შენი (კუთვ. ნაცვალ.).

ვიჩი – ძმა; ვიჩე ღარ – ძმისშვილი (მამრ.); ვიჩე ხინარ – ძმისშვილი (მდედრ.).

ვიწ – ათი.

ვიფ – ცხრა.

ვიურუნ – ქარიშხალი.

ვიულ – შვიდი.

ზალუმ – მუტრული.

ზამბილ – ღიღი ხელჩანთა.

ზანგ – ზარი.

ზანდ – მიმართულება, სივრცე; განჭვრეტა, აზრი, ალღო.

ზარაზამთარ – “ბზობა” (რელიგ.).

ზარაფატ – სუმრობა.

ზაფეს – გაწვევა.

ზერეს, ზერზერეს – მორთვა, მოკაზმვა.

ზერევეკეს – შეთხზვა, შელამაზება.

ზიგილ – მეჭეჭი.

ზილო – რკინა.

ზიზამ – ელენთა.

ზიზიფეს – კენესა, წუწუნი.

ზილ-ზილ – შეჭყუნული, ამობურცული.

ზილფა-ზილფა – ნაგჯეჯ-ნაგლეჯ, ნაკუწ-ნაკუწ.

ზინვილ – ჯაჭვი.

ზირანგ – ცქვიტი, ცოცხალი, საზრიანი, ყოჩალი.

ზოზოფეს – ყმული, ზმული.

ზომბეს – სწავლა.

ზორ – ძალა.

ზორრუ – ყოვლისშემძლე.

ზოყ, ზოჯ – ყლორტი.

ზოყალ – შვინდი.

ზოყალბეს – თვლა.

ზუ – მე.

ზულუმ – წვალება, წამება.

ზი^ნ პტეს – წამორტყმა, წამოკვრა.

თაბი – მორჩილი, ქედმოხრილი.

თაგ – თანატოლი.

თაგარ – სიტყვა.

თაღეს – მიცემა, მითხოვება.

თა[ღ]ეს – წასვლა.

თაგარ – ნაჯახი.

თაზა – ახალი.

თაზაბეს – განახლება.

თათიკ – თათი.

თაღა – ხაფანგი, მახე.

თა^ლლამ – ნაფოთი, ნახლეჩი.

თამ – სრული, სრულად.

თამბაღ – ზარმაცი, ზანტი, ნებიერი.

თამბეს – სრულყოფა; მორჩენა, დამთავრება, ბოლომდე მიყვანა (საქმის).

თამენ – გემრიელი.

თამიზ – სუფთა, წმინდა; ერთიანად, პირწმინდად.

თამიზბეს – გაწმენდა.

თარ – მუსიკალური ინსტრუმენტი; თიხის ჭურჭლის გამოსაძერწი დაზგა.

თარა – მოხვეული, წრიული, გადაბრუნებული, ამობრუნებული.

თარაბეს – შემობრუნება, შემოტრიალება; ყურადღების მიქცევა; მოვლა.

თარაზიკ (თარაზუკ) – სასწორი, თარაზო.

თარამა – შემოდგომის ბუნების ღვთაება (‘‘მზის გაცილება’’) – მიცვალებულთა სსენების ღვთაება.

თარაბ – მომხრე, მხარე (გეოგრ.).

თარბეს – თავის დანებება.

თარნა (თანდერ) – თონე.

თარიღ – მოღვაწე, წელი, საუკუნე, ჟამი, მათიანე.

თაფ – დაჟეჟილი.

თაფიგბეს – დაბარვა.
თაფოდ – განსხვავება.
თაქ – ეული, განმარტობული, ერთეული, ცალი, კენტი.
თაქვ – ჯიხვი.
თაქვარ – ბორბალი.
თაქ-თაქ – თითო-თითო, სათითაო; ხანდახან, ზოგჯერ.
თაქ-თუქ – თითო-ოროლა.
თაქლამიშბეს – განცალკევება, მარტოდ მომწყვდევა.
თაქსა – მხოლოდ.
თაშეს – წაღება, წაყვანა, მოგება.
თაშესტეს – წაგება; წაღებინება, წაყვანინება, გატანება.
თახრა – თარო.
თაჰან – წაყვედრება.
თე – არა.
თელ – ღებემა.
თილ – წახნაგი, ქიმი.
თირ – კოჭი, მორი, ხახვის კვალი.
თიქ – შვეული.
თიქვ – ნაკუწი, ნაჭერი.
თოგ – ფასი.
თოგლეს – გაყიდვა.
თოგის – ძვირი.
თოზ – მტვერი.
თოზლამიშბეს – დამტვერიანება.
თოჯ – ღონისძიება, ზეიმი, ქორწილი.
თორ – გასვრილი, დასვრილი.
თორაკ – ტომარა.
თოფა, თოფ – გროვა, ზვინი, ბორცვი.
თოგუზ – კომბალი.
თომ^ეო – გველხოკერა, ანკარა (გველი).

თონ^ეანა – ლეღვი.
თონი – თონი.
თონ^ელიკ – ღიპი, ჩინახვი.
თონყა (თოჰყა) – ქამარი, ღვედი.
თუთ – თუთა.
თუთუზ – თამბაქო.
თულ – ლეკვი, ნაშიერი.
თულქი (სინ. **შულ**) – მელია.
თუმ – ძირი, ფესვი; საძირკველი, სათავე.
თუნდ – ფიცხი, ცხარე.
თურ – ფეხი.
თურაკალ – ხიფათიანი, მარცხიანი, ბელუკულმარტი.
თუმ – მიზანი, მიმართულება.
თუმბეს – დამიზნება, მიზანში ამოღება.
თუმბათუმ – პირისპირ.
იბაქეს – მოსმენა.
იზაკ – ჭიანჭველა.
იზმიშბეს – ცურვა.
ილ – ბალახი (სინ. **ო**), მცენარე, სარეველა, მცენარეულით მოფენილი დაბლობი.
ილბეს – გამარგვლა.
იმან – არაფერი.
იმუნ – ყური (Pl. Tant.); **იმსონ** – ყურები.
ინაღლუ – ღვარძლიანი, ბოროტი.
ინგირ-ინგირ – გარიჟრაჟი, ბინდბუნდი.
ინ – რწყილი.
ინი – ახალი.
ინიბეს – განახლება.
იჟ^ე – თოვლი.
იჟ^ეენ – ზამთარი; თოვლიანი.
ირად – დაკარგული.
ირადბეს – მოშორება, მოცილება.

ირჰჰჰ – გლენი, თავისუფალი მიწათმოქმედი.

ირიზ – ბილიკი.

ირიტ – ზიზლი.

ის – გაბუტული, უძრავი, განდევნილი, განმარტობული.

ისა (სინ. **ჰადსა**) – ეხლა.

ილარიზ – სიცხე, ტემპერატურა.

ილარიბეს – დასიცხვა, გაცემა.

იყ – ნაცარი.

იშ^ა – ახლოს, სიახლოვეს.

იშ^აბაქეს, იშ^აბეს – დაახლოება.

იშ^ალულ – სიახლოვე.

იშ^ა-მიშ^ა – ახლო-მახლო.

იშუ – კაცი (სინ. **იშყარ**), ქმარი; **იშუ-ჩუბუს** ცოლ-ქმარი; **იშე თადეს** გათხოვება (ზედმ. ქმართან წასვლა).

იჩ – თვითონ.

იჩი – თავისი; **იჩიო** – თავისიანი.

იხბაქეს – დამახსოვრება.

იხბატეს – გახსენება.

იხბეს – დამახსოვრება, აღქმა.

იხტარ – ნებართვა, დასტური.

იხტლათ – საუბარი.

კა^ა – თრთვილი.

კა^ავან – მინდორი.

კა^აზარ – სტაფილო.

კაკანიკ – მრგვალი, წრიული, სფერული.

კა^აკაპ – მუხლი (ანატ.).

კაკაფეს – კაკანი.

კალა – ხეიბარი, კოჭლი.

კალაფეს – კოჭლობა.

კალბეს – გააწვრა, განაზვა, ჩხველვა.

კალფეს – დამახება, გამოძახება.

კანაკ – ხვეული, გრაგნილი.

კანაკბეს – დახვევა (ძაფის, ბაწრის).

კანკალ – ხვეული.

კანტაზ – მწვერვალი, უმაღლესი წერტილი.

კანცარიკ – კალთა (პატარა).

კანჭ^ალ – თოვლის გუნდა.

კარამფეს – კორტნა.

კაროვ – ოხრახუმი.

კარტამ – კეფა.

კატ – წვეთი.

კატიკ – სასა.

კაშა – თითი.

კაწ – გაწყვეტილი, გაგლეჯილი, დამსხრეული, დაუწეული.

კაწბეს – დახოცვა, ამოჟლეტა.

კაწეს – გაწყდომა, გაწყვეტა.

კაწკალ – კიბე.

კაჭ – საკენკი.

კაჭ^აი – ბრმა.

კაჭ^აიბაქეს, კაჭ^აიბეს – დაბრმავება.

კაჭკუნ – კევი, სალექი რეზინა.

კაჭ^აოლი – კიტრი.

კაჭფეს – დალექვა, ლექვა.

კაჯუხ – წვერი (Pl. Tant.).

კერწალ – კაჭკაჭი.

კიწი – ცოტა.

კიწკე – პატარა, პაწია.

კიწკებეს – დაპატარავება.

კიწ-კიწი – ცოტ-ცოტა.

კობეს – გაკრეჭვა.

კოდა – ნიჩაბი.

კოდონ – შუბლი.

კოვალ – ჯონი.

კოთავარ – ტაფა.

კოკოწ – ქათამი.
კონფუზ – მწვერვალი.
კონჯ^ც უხ – პატრონი (Pl. Tant.).
კონძ, **კონძ** – ქვევრი.
კონძ – ქული.
კორი – მოხრილი, მრუდე.
კორი-მორი – მიხვეულ-მოხვეული, მიხრილ-მოხრილი.
კოპი – ქვიცი.
კოტორ – ნაწილი, ნაჭერი, ნატეხი.
კოტორ-კოტორ – ნაწილ-ნაწილ.
კოწ – მოხრილი, წაწრილი; დანებებული.
კოწბეს – გადმოხრა, გადახრა; გადმოხრება, დაყოლიება.
კოჭ^ც – ტარი.
კოჯ – სახლი.
კოჯ-კუა – სახლშივე.
კოჯ-მეც-ბაქეს – დაოჯახება, დაბინავება.
კოჯ-ჩ^ც ომონ – სახლ-კარი.
კულ – მიწა.
კუპერ – კვირტი, კოკორი.
კურწვეს – თვლემა, თვალის მოხუჭვა.
კუნწეს – ჩაცუნცქვა.
ლ^ც ბტეს (ლ^ც პტეს) – გაბრტყელება, გასრესა, გაჭყლეტვა.
ლ^ც გ^{ან} – ტაშტი.
ლ^ც გ^{არ} – მღვრიე, ამღვრეული, არეული.
ლა[მ]ეს – ასვლა, აცოცება.
ლაგეს – ასხმა, ჩამოცმევა, წამოცვევა.
ლახემ – საჭირო.
ლალ – მუნჯი, უტყვი.
ლალაქან – ქოში.
ლამ – პრიალა, გაპრიალებული.
ლამანდი – შეხვედრილი.

ლანგ – ნაბიჯი.
ლანკურტიკ – გადაზელილი.
ლარი – მსგავსი, ტოლფასი, მაგიერი.
ლარიბაქეს – დამსგავსება.
ლარიბეს – მიმსგავსება.
ლადი – წასმული.
ლაფ – ძალიან.
ლაფეს – ჩაცმა.
ლაფტეს – შეხება, მორტყმა.
ლაღ^ც აღღეს – გამოვლენა.
ლაც – ლაცე.
ლ^ც შ – სხეული.
ლ^ც შ^ც კო – ქორწილი.
ლ^ც შ^ც კობაქეს – ქორწინება, დაქორწინება.
ლახაც – მიწებებული, მიკრული, მიტმასნილი.
ლახაცტეს – დაწებება, დაკრობა.
ლაცურღეს – მისხურება.
ლაცურ – დახვეული, ხვეული.
ლაცურღეს – დახვევა.
ლახი – დაღებული.
ლახო – ზედ, ზემოდან (თანდ.).
ლევებ – ქვაბი.
ლიკარ – ბილიკი.
ლილ – ლამი.
ლოთი – საყვარელი.
ლოკ – ქოთანის (ყვავილის).
ლოლოც – აკვანი.
ლონლა – ტრაბახა.
ლოჯა – ლოჯა.
ლოქლ^{ან} – ლოჯა, მილი.
მა – არ (უარყ. კლ.); სადაც (მაქვ. კავშ.).
მა^ც – ტვინი, ჭკუა.
მ^ც – არ (უარყ. კლ.).

მან ბა – ტვინიანი.

მანდარბეს – ღროის გაწელება, ღროის გაყვანა, ღროის მოგება.

მანთ – ტყლაპი.

მაკალა – არსად.

მალ – საქონელი.

მალა – ფარცხი.

მალაღულეს – ფარცხვა, დაფარცხვა.

მალაკა – კოვზი.

მამაყ (ბაბაყ) – მოუხერხელი.

მამილ – ბიცოლა.

მამურ – ხავსი.

მამუშ აკ – ია.

მანგუ – ნიკაპი.

მანდი – ღარჩენილი, შემორჩენილი.

მანძილ (მანძილ, მანძილ) – მანძილი.

მანო? – რომელი? (კითხვ. ნაცვალ.).

მანდნ – შავი.

მანდნფუნ – შავთუხა, შავგრიმანი.

მარაღ – ირემი.

მარცი – გამოლეული, მოთავებული, მორჩენილი.

მანსაღ – საუბრის თემა, ანდაზა, თქმულება; ნელლეული, მასალა.

მასფეს – გაცრა, მტვრისგან გაწმენდა.

მასყარა – მასხარა, კლოუნი, სასაცილო პიროვნება.

მასყარაბეს – დაცინვა, დამცირება, ირონია.

მატად? მატლოდ? – ვისი? (კითხვ. ნაცვალ.).

მანფეს – ბლავილი.

მაღ – სიმღერა.

მაღა – აქეთ.

მაღ კალო – მომღერალი.

მაღ ფეს – მღერა, სიმღერა.

მაშარ – ხერხი.

მაშალ – ვეფხვი.

მაშკატეკალ – ღამურა.

მაჩო? – საით?

მაჩხო? – საიდან? რომელი მხრიდან?

მაწი – თეთრი.

მაწიბაქეს, მაწიბეს – გათეთრება, გადათეთრება.

მაწი ხე – არაყი (ზედმიწ. თეთრი წყალი).

მახურ – ხავერდი.

მაჰ – მანა, სარი.

მაჰ – მუხა, რკო; მაჰ ნა ხოდ – მუხის ხე.

მაჰლ, მაჰლ – ეზო, კარმიდამო; უბანი (ნ.).

მაჰნ – მიზეზი.

მე – ეს (ჩვ. ნაცვალ.); დანა.

მეღ – თავვი.

მელან, მელინ – აქედან (აღვ.).

მეღ ლუმ – თავკბილა, ძირმაგარა.

მემმა – ამღენი.

მენო – ეს (სუბსტ.).

მეიდ – ცხელარი, გვამი.

მერ – ასე.

მეღ ეწ – ტყიპა.

მეშუ – ამაღამ (აღვ.).

მეც – ბუღე; ქვაბული, ჩაღრმავება.

მეჭ – ჭინჭარი.

მეჰ – ჭია, მატლი.

მეჰჰურ – ასე, ამნაირად.

მი – სიცივე.

მიბეს – აცივება.

მიოჰკჰ – მუთაქა.

მიმოწ – წვინტლი, მოუხოცავი (აღვ.).

მიდა (მდა, მია) – აქ.

მის – სპილენძი.

მისარ – ლურსმანი.

მიცუიკ (ნ.; შდრ.: კიწკე) – პატარა.
 მოზი – ხბო.
 მონო – ეს (სუბსტ.; იხ. მენო).
 მოს (ფოს) – ნაგავი, მტვერი.
 მოლორ – გაღვიძებული.
 მოლორეცი – შეცდენილი.
 მოშ, მოჩ – ბარდი, ეკლიანი ბუჩქი.
 მოწაკ – კოლო.
 მუე (მუ) – ქერი.
 მუზ – ენა.
 მუზჭურუდეს – ჭორიკნობა, ენაჭარტლობა.
 მუზჯავს – ენის აღმა.
 მუმ – სანთელი, ცვილი.
 მურ – მჭვარტლი, მური, ღერძი.
 მურდალ – ავხორცი.
 მურუმ – მირონი.
 მუტულ – მარცვლეული, თავთავი.
 მულ – რვა.
 მუყა – რქა.
 მუმ – ქარი.
 მუმჭუნ – კოცნა.
 მუჭა – მუჭი.
 მუჭა – ტკბილი.
 მუჭა ანაყ – რძე.
 მუჭურ – გადაწმენდილი ცა.
 მუხ – ფრჩხილი (მუხ); კლანჭი; ყანწი; კიბის საფეხური.
 მუჯ – მხიარული, გახარებული.
 მუჯ ლულ – ზემი.
 ნანე – არავითარ შემთხვევაში.
 ნამაზ – ეკლესია, სამლოცველო.
 ნამაზბეს – ლოცვის აღვლენა.
 ნამბეს – დანამვა.

ნამგალ – ნამგალი.
 ნამუს – ნამუსი.
 ნანა – ღელა.
 ნანალულ – დედინაცვალი.
 ნარზულ – გუშინ.
 ნალარა – ღოლი.
 ნალელ – ზღაპარი.
 ნაყ – ღო.
 ნაყელ – მაწონი.
 ნახერ – ნახირი, ქარავანი; გუნდი; ჯოგი.
 ნელულ – სადელი (რძის).
 ნეთ – წარბი.
 ნელ – ცრემლი.
 ნეშ – წირვა; მსხვერპლი, ძღვენი, (რელიგ.).
 ნეშ უმ – ყვეთელი.
 ნეწ – ტილი.
 ნიკო – ბურთი.
 ნიკტეს – რქენა.
 ნინიფეს, ნანიფეს – იავნანა (უღ.).
 ნიშ ან – ნიშნობა (საქორწინო), ნიშანი.
 ნიშ ტარ – სამართებელი.
 ნოჭ – ყურძნის წვენი, “ტკბილი”.
 ნუთ, ნუტ – არა, გარეშე (უარ. კლ.).
 ნუტბა – მუქტა.
 ძალ – უცხო.
 ძავა – ავი, შეუპოვარი.
 ძავან – დამშეული, მშიერ-მწყურვალი.
 ძაღლულ – თავსაბურავი, თავზე მოსახვევი.
 ძალ – ჯაგარი, ფაფარი.
 ძალულ – ალი.
 ძამან – ძლიერი, უძლეველი.
 ძამალ – ნაკერი, საკერებელი.
 ძამალბეს – დაკერვა.

აფფეს, ააბეს – ამოვსება, ამოლევა, გალესვა.

აან – ჩვენ (პ. ნაცვალ.); გვერდი, სივრცე.

აანუ, აანულ – გვერდით, გასწვრივ (აღვ.).

აანლიშ – შეცდომა; შემცდარი, გაზაბნეული.

აარა – ჭრილობა, იარა; **აარალუ** – დაჭრილი, წყლულიანი.

აარმა – დამსხრეული, დაფშენილი; ღერლილი.

აას – გლოვა; **აასლუ** – მგლოვიარე.

აატუნვი – ნაბადი, მატყლი, ბეწვიანი მოსასხამი.

ააფულ – სახურავი.

ააფუკყან – წებო.

აალინ – დაზუსტებით.

ააყ – გზა.

ააყაბეს – გაგზავნა.

ააყაბელ^ეეს, ააყბელ^ეეს – ლოღინი.

ააყთა[ა]ეს – გამგზავრება.

ააშ – ასაკი.

აანნი – მოხარმული ხორცი, ხაშლამა.

აახუ – აუფუარი ცომი.

ააჰარ – უნაგირი.

აე – ან (კავშ.).

აეგა – ქლიბი.

აეღარ – სამასსოვრო.

აეზნა – სიძე, ჩასიძებული.

აეთუმ – ობოლი, ეული.

აემიშ (სინ. **გუზდარუ, გუზდარუ**) – ნესვი.

აენგა – ხელისმომკიდე (პატარძლის).

აექქა – ვეებერთელა, თვალუწვენელი.

აიგ – მტკაველი.

აიკფეს – გაცრა (ფქვილის, ლამის).

აიპიფეს – ჭიხვინი.

აილღამ – მეგობარი, ამხანაგი.

აილჩი – უცხო.

აონ – ხერხი, ილეთი; მიმართულება.

აონსუზ – მოუქნელი, უხერხული, მოუხერხებელი.

აორღან – საბანი, თავშესაფარი.

აუ – რბილი.

აუბგა – ქვედა თანსაცმელი.

აუმბურ – მუშტი.

ო – ბალახი, მცენარე (ზოგ.), თივა, თავტავიანი კულტურები; მდელო, ვაკე, მცენარეებით დაფარული დაბლობი, პლატო.

ოგა – გერი, გარე (არაორღაპირი) ნათესავი; ბალახიანი ადგილი, სათიბი, მდელო.

ოღა – ბალახით (ისლით) ან თივით დახურული სახლი, სათავსო.

ოზან – კისერი.

ოთალ – ოთახი; ფარული; ისლით დახურული სათავსო.

ო^ემა (უ^ემა) – მარწყვი.

ო^ენე – ტირილი, წუხილი, დატირება.

ო^ენეფეს – ტირილი (მასღ.).

ოიმალ – მოღემა, წარმოშობა, ფუძე.

ორე – გაბუტული, უძრახი.

ორედნ – წყარო.

ორთალ, ორთალლუ – საზიარო, გაერთიანებული; ერთობლივად (აღვ.).

ოსტავარ – მგარი.

ოტ – სირცხვილი.

ოტბეს – სირცხვილის შეგრძნება.

ოღანდ – მოხერხებული, იოლი, ადვილად მოსაგვარებელი.

ოღრამ – ეშმაკეული, თარსი.

ოღურ, ოღურრუ – ფეხბედნიერი, ბარაქიანი, შემოსავლიანი.

ოყ – ძირი, ქვედა ნაწილი.

ოყ^ე – უღელი, საპალნე.

ოყა – დაბლა, ქვემოთ.
 ოყაბეს – ჩამოწვევა, დაწვევა.
 ოყალუ – დაბალი.
 ოყენ – ძვალი.
 ოყო – ძმარი.
 ოშ (უშ) – ბოლო, კიდე, დასალიერი; ბოლოს (ადვ.).
 ოშა – მერე, შემდეგ.
 ოშენ – შემდგომი.
 ოწალ – მიწის ზედაპირი; (ნ.) – მინდორი, ველი.
 ოწკალეს – გაბანება.
 ოწკალეეს – ბანაობა.
 ოჭნი – ტალახი, ლამი.
 ოხ – სავარცხელი.
 ოხალ – ნადირობა.
 ოხარი – იოლი, ადვილი.
 ოხბეს, ოხვეს – ვარცხნა, დავარცხნა.
 ოხედელ – ნანადირევი; ხორციანი კერძები.
 ოჯ (ახ, უხ) – მდინარე.
 ოჯედელ – საჭმელი, საკვები.
 ოჯას – ღეკეული.
 ოჯახ, ოჯალ – ოჯახი, კერა; პატარა სალოცავი.
 ოჰად! ორა კარგია! (შორ.).
 ოჰ! – ოჰ! (შორ.).
 ოგუთ – აღზრდა.
 ოვლად – გვარი, გენი, წარმოშობა.
 ომპ – ძარღვი.
 ოქუზ – ტყუპი.
 პან (პონ) – ორი; პანელონ – ორივე, ორთავე;
 პანლულ – ორიანი.
 პანელმულონ – ორსული.
 პაპა (სინ. ბაბა) – მამა.
 პანთბაქეს (ფანთბაქეს) – მოკუნთვა, ორად მოკეცვა.

პატარაკ – ქელეხი.
 პატომჯან (პატუმჯან) – ბაღრიჯანი.
 პანშამატ – ორშაბათი.
 პეპ – აკვნის ლეიბი.
 პი – სისხლი.
 პილინჯ (სინ. მის) – სპილენძი.
 პილიღონჯ – ხვლიკი.
 პინაკ – საზურგე.
 პიჟ – შურღული.
 პიჟნა, ხაღნ-პიჟ – შურიანი.
 პირწ – სკლინტი.
 პიწუქკალ – სისხლისმწოველი.
 პოდეეს – საკმარისობა, დაკმაყოფილება.
 პოდ! – მამ! ვითომ?! თითქოსდა!
 პონ-პონ – ორ-ორი.
 პოლოჯ – ჭიყყელა.
 პურამ – კიდე, ისევე, მაინც.
 პური – მკვდარი.
 ჟანალ, ჟანალეეს (მასლ.) – ლულილი.
 ჟანალეს – აღულება.
 ჟენ – ქვა, ლოდი; საფლავის ქვა; ციხე-სიმაგრე; კლდე.
 ჟებ (ჯებ) – ჯიბე, უბე.
 ჟენელ – ქვა-მარილი.
 ჟენულ – ქვიანი (ატრ.); ქვიანი ადგილი.
 ჟინჯილ (ზინჯილ) – ჯაჭვი.
 ჟილ (ჟილ, ჟანალ) – არევ-დარევა, ქაოსური მოძრაობა.
 ჟილვეს – აჯანყება, აღრევა.
 ჟილლამიშბეს – დაცობა.
 ჟილბხ – წისქვილი; პირი.
 ჟილულ – ზაფხული.
 ჟუკ – თითისტარი.

რა – რაში, მერანი (სინ. **რაშ**), გადაადგილების საშუალება.

სა (სო) – ერთი; მხოლოდ; სალი.

საად, საპათ (ნ.) – საათი (მექ.); საათი (დრ. ერთ.).

საბურღელს – ღაცემინება.

საგალა – ერთად.

საემო (სადმო) – რამდენიმე, ზოგიერთი.

საზკენა – გაწკეპილი, გამართული.

სათამ (სა თამან) – ერთიანად.

სათაპპარ – როგორმე, რაიმე ხერხით.

სალულ – ერთიანი.

სამალავი – ფიჭვი.

სამუზ – ერთხმად.

სამჯი – პირველი.

სანდულ – სკივრი.

სანე! – მაინც! (შორ.).

სანჯუ – მჭკალი.

სად – ცოტა; კვლავაც, კიდევაც.

სადმაზ – მცირედით კმაყოფილი, უღარდელი, ზარმაცი.

სარ – გამორჩენა.

სარქაღარ – გამორჩენისა, მოგების მოყვარული; პატივმოყვარე.

სას – ხმა, ჰანგი, ბგერა

სასმავ, სასმავბაქი – გულწასული.

სას-საბირ (სას-საშირ) – ხმა-კრინტი.

საფარა – ზოგიერთი.

საფსა – მარტოხელა; უელი; დამოუკიდებელი.

საქარამ – ერთხელ.

საქეს – ჩაგდება.

საყათ – ერთხანობას.

სანტეს – კოჭლობა.

სანტიკ – კოჭლი.

საჯაურა – ერთნაირი, ერთფეროვანი.

სეჩე – მაზლი.

სეინე – დედამთილი.

სერბეს – გაკეთება, შეკეთება, მომსახურება, აგება; ჩასახვა.

სინამიშბეს – გამოცდა, დაკვირვება.

სირთ – ხერხემალი; თხემი.

სირ – საიღუმლო.

სირმიშბეს – ღაზიანება.

სის – ფუტკრის ნესტარი; სუსხი.

სიქა-სიქა – ნაგლეჯ-ნაგლეჯ, ნაკუწ-ნაკუწ.

სიხ – ხშირი, სიხშირე.

სო-სო – თითო-თითო.

სუზაგ – საწური ჭურჭელი.

სუთუნ – სვეტი, ძელი, ბოძი.

სუმბულ – თავთავი.

სურუ – გროვა, ფარა, ჯოგი, გუნდი.

სურუკ – დაწეული, ჩამოკიდებული.

სუს – სუსტი.

სუსბაქეს – გულწასვლა, გონების დაკარგვა; გულის შეღონება.

სუქათ – სახე.

სუჭაბ – მადლი, პატივი; შეცოდება.

ტაკ – სტაფილო.

ტაკ-ტაკ – მწყობრად, მიჯრით, მკრივზე [დაწყობილი].

ტაკფეს – მიჯრით დაწყობა, ჩომომწკრივება; ღარგვა.

ტალდა, ტალდალულ – საფარი, თავშესაფარი.

ტალდაბაქეს – თავის შეფარება, მიფარება.

ტალექ – თეფში.

ტამ – გემო.

ტამარ – ძარღვი.

ტამენ – გემრიელი; **ტამსუზ** – უგემოვნო.

ტანლულ (ტონლულ) – ხელფასი, სალარო.

ტადალ – საყრდენი, დასაყრდენი, მისაყუდებელი.
ტაძანა – ფეთვი.
ტაძან – სკა.
ტაძაკ – ბრტყელი.
ტაძაკბეს – გაბრტყელება
ტაძეს – ცემა, ბერტყვა, ბეგვა.
ტარამ – მჭიდროდ, მკვიდრად; მაგრამ.
ტართმიშბეს – წართმევა, წაგლეჯა.
ტატ – ბუზი.
ტატი – ბეზია, ღიდელა (სინ. **ქალ-ნანა**).
ტატაფეს – გამლა, მოშლა, წამოშლა; მორღვევა.
ტაფი – ნაცემი.
ტაფეს – ცემა.
ტაყტეს – ჩარჭობა, ღარჭობა.
ტაყფი (ტაყბი) – დამტვრეული.
ტაღა – იქეთ.
ტაღა-მაღა – აქეთ-იქეთ.
ტე – ის (ჩვ. ნაცვალ.).
ტევედინა – მაშინ.
ტეთარ, ტეთაჰარ – ისე, იმგვარად, იმნაირად.
ტეკალ – კალია.
ტელან, ტელინ – იქიდან (ადვ.).
ტემმა – იმდენი.
ტერ – ისე, იქით.
ტერაცუ – ღიაკვანი.
ტერ-ტერ – ისე და ისე; მიხვეულ-მოხვეული.
ტეჯჯარა – ისეთი, იმნაირი.
ტიდა – იქ.
ტიდაუნ – იქაური.
ტიტეს – გაქცევა.
ტიტილ – მეტიჩარა, ცანცარა.
ტიყ (სინ. **კოპკალ**) – წამონაზარდი, ამონაბურცი.
ტიპლიკ – კილა.

ტიორაკ (ტიორაკ) – ტომარა, პარკი.
ტიოტო – ტუტუცი.
ტიოლო (სინ. **დანულ**) – იქვე, გვერდით.
ტიომ – გარეთ.
ტიომამფეს – დაგვა, დასუფთავება.
ტიომან – კურდღელი.
ტიულ – ყურძენი, ყურძნის მარცვალი.
ტიულბოყეს – რთველი.
ტიულყაჭფეს – ყურძნის დაწურვა.
ტიუმა – ყუნწი.
ტიუნტუნ – კურტუმი.
ტიუპ – ბოლოკი.
ტიუპაყ – მელოტი.
ტიუპულ – კოპლი.
ტიუპულ-ტიუპულ – კოპლებიანი, წინწკლებიანი.
ტიური – ძაფი.
ულ – თუთის ფოთლები; აბრეშუმის ჭიისათვის გათვალისწინებული თუთის ხის ჯიში (სინ. **უდინ ხოდ; ჭაპალ**).
უკ – გული.
უკალო – მთქმელი.
უკლა – გულიანი.
ულ (სინ. **ჯანაგარ**) – მგელი.
ულუხ – კბილი (Pl. Tant.); **ულხოხ** – კბილები.
უნმა – მარწყვი (იხ. **ონმა**).
უმულ – იმედი.
უნულ – ნაწლავი (Pl. Tant.).
ურდან-ბურდან – აბლაუბდა.
ურუზი (ორუზი) – ხოხობი.
ურუზ – რუსი.
ურუსეთ – რუსეთი.
ურუტფეს – შელოცვა, შერიხება.
უს – ხარი.

უსენ – წელი, წლის რიგი (რელიგ.).
უსინ – ჩქარა, სწრაფად, მამინვე, უმაღ.
უსინ-უსინ – ჩქარ-ჩქარა.
უსკეს – გაზომვა, აწონვა.
უსტა – ოსტატი, ხელოსანი.
უქეს – ჭამა.
უქსუნ-ულსუნ – სმა-ჭამა (მასდ. II).
ულ^ე – სხვენი.
ულ^ეეს – დალევა.
უყ^ე – კაკალი (ნაყოფი); **უყ^ენა ხოდ** – კაკლის ხე.
უყ^ეენ – ძვალი.
უმ (სინ. **უმ^ე**, **ჭოტ**) – კიდე, ბოლო, დასალიერი.
უმ^ე – შემა; კიდე, ბოლო, დასალიერი (იხ. **უმ**).
უჭ^ე – თაფლი.
უჭ^ეე ტატ – ფუტკარი (ხედმიწ. ტაფლის ბუზი).
უხ (სინ. **ახ**, **უხ**, **ოხ**) – მდინარე.
უხ^ე – ექვსი.
უჯუზ – იაფი.
უჯუზბაქეს – გაიაფება (ბუნებრივი).
უჯუზბეს – გაიაფება (ხელოვნური).
უჰ! – უჰ! (შორ.).
უთუ – უთო.
უთუღლელეს, უთუბეს – დაუთავება.
უთუღელი – დაუთოებელი.
უსუნ – მალე (იხ. **უსინ**).
ურუქურუქ – ბინდ-ბუნდი.
ფაფ – შემოღვამა.
ფარ – ჩამოშლილი, მოზვავებული, მორღვეული (სინ. **ფერ**); გაფრენა (სინ. **ფურ**).
ფარგარბეს – აწყობა, გამართვა, გაკეთება, აგება, ამუშავება, ჩართვა, ორგანიზება.
ფართალ – ტანსაცმელი, ტანისამოსი.
ფართბაქი – ენაჩავარდნილი, მხილებელი.

ფართამიშბეს – ფართხალი, სულის დაპვა.
ფას – დანგრეული, გაცვეთილი; გამლილი, მიმობნეული, მიმოფანტული.
ფაქ – ბაღ-ვენახი, ბაღა.
ფასჭალ (ფასჩალ) – მეფე.
ფასლა – ლობიო.
ფანტი – მოღუღებული, ორთქლში გატარებული.
ფანტეს – მოღუღება.
ფელუმ – ანაფორა.
ფენეწ – ხის გუთან; კავიანი; სახნისი.
ფესუნ – თქმა, ქმედება (აზრის განხორციელების დაწყება).
ფეშაკ – სელობა.
ფეშმან – სინანული.
ფი – თხის ქონი; ნათქვამი (მიმღ.).
ფილქან – კიბე.
ფის – ცული.
ფისბაქეს – ცულად ყოფნა, ცულად განდობა.
ფისბეს – ცულის კეთება, ცულის ჩაღენა.
ფისეს – ცული განცდა, ცულად განდობა.
ფიშიკ – კატა.
ფიშტ – ლუმელი.
ფოთიკ – გოჭი.
ფორ – ობი.
ფორწუხ – მანვი (Pl. Tant.).
ფორთბეს – მოთმენა.
ფორჭეფეს – დაობება.
ფოს (სინ. **მოს**) – ნაგავი.
ფოფ – თმა.
ფოფბარი (სინ. **ტუპაყ^ე**) – მელიტი, თმაჩამოცვენილი.
ფოფლა – ბანჯგვლიანი, თმიანი.
ფულ – თვალი; კვანძი (ნაქსოვის, ხალიჩის); სათავე (მდინარის, წყაროსი).

ფულღულეს – თვალისწემა.
ფულთარატეს – ყურადღების მიქცევა.
ფულ^აჩ – თვალბახვეული, ტვალბაფარებული.
ფულყინჭ – თვალბახვეული.
ფურღეს – გადაქცევა, ჩამოშლა; ჭკუიდან გადასვლა; გაფრენა (ბარტყების).
ფურფეს – ფრენა, გაფრენა.
ფუსაკბეს – ჯვრის წერა (რელიგ.).
ფუ^აფ – წიფელი.
ფუტლიკ (ფოტლიკ) – ბუთხუზი.
ფუშ^ა – კომში.
ფუშ^აფუშ^ა – ფილტვი, ღვიძლი.
ფურ – ფუჭი, უვარგისი, გაფუჭებული; გზასაკდენილი, ავარდნილი.
ფურიკ – სტომაქი, ჩინახვი; ბუშტი.
ფალ – მკითხაობა, მარჩიელობა.
ფალჩი – მკითხავი.
ფალღეს – ქნევა, გაკვრა, მოქნევა; მოტაცება, მოპარვა.
ფანღ – ილეოთი, ხერხი.
ფანღქარ – მოხერხებული.
ფარფეს – დაკვრა (მუს.); დანარცხება.
ფარიშტა – ანგელოზი.
ფარღათბეს – დაბინავება.
ფაჰამ – ნიჭი, საზრიანობა.
ფი – ღვინო.
ფიეფეს – ღვინის შენახვა, ღვინის დაძველება.
ფიღ – სპილო.
ფიღტა – ფიტილი.
ფიქირ – ფიქრი.
ფიქირბეს – დაფიქრება.
ფოფოტ – ფუტურე, ფულურო.
ფუ – ჰაერი; აირი, გაზი; სივრცე აირისთვის; შებერვა; ნიაფი.

ფუეს – გაბერილობა.
ფურ – კოჟრი.
ფურტეს – ჩაცურება, სრიალი; ასხლეტა.
ფურტეკეს – დაცურება.
ფურუტეს – ტარება.
ფურუფეს – სიარული, სეირნობა; ძებნა.
ფუტ – სტვენა.
ფულარა – საწყალი, ღარიბი.
ფუნ^აფეს – გაქურდვა, გაყარება.
ფუჯ^აეს – გაყვლეფა.
ქა – მანღ.
ქანო – ეგ (სუბსტ.).
ქავთარ-ქუსტი – სულთამხუთავი, მოჩვენება, ავი სული.
ქაღ – ხარ-კამეჩი.
ქალა – დიდი; უფროსი.
ქაღა – თავის ქალა; კეფა.
ქალაბეს – გაზრდა.
ქალაღულ – უფროსობა.
ქალამ – ქალამანი.
ქაღამ – კომბოსტო.
ქალბაბა (ქალაბაბა) – ბაბუა.
ქალნანა (ქალანანა) – ბებია.
ქაღრა – მამალი ზაქი.
ქამ – ნაკლეული, მცირე.
ქამასი – ღარიბი.
ქამბეს – მოკლება; გამოკლება (მათ.).
ქამენ – ჭუჭყიანი.
ქამეს – კლება, შემცირება.
ქამმა – მაგლენი.
ქანღირ – თოკი.
ქანთალ – ტლანქი.
ქამ – ნაჭამი; **ქამ-ულ^ა** – ნაჭამ-ნასვამი.

ქვიხბეს – ღამისთევა.
ქარ – ყრუ.
ქარამბეს – გამრავლება.
ქარხეს (ვარხეს) – ცხოვრება.
ქასიბ – ღარიბი (იხ. **ქამასი**).
ქაფ – ჩქარი, აჩქარებული.
ქაფეს – აჩქარება.
ქაფ-ქაფ – ჩქარ-ჩქარა.
ქა^ატ – ქაფი, ღორბლი.
ქაფტეს – მოხვედრა, შეხვედრა.
ქაღვზ – ქალაღი.
ქაჩ^ა – სრამი, თხრილი; ხევი, ხეობა.
ქაჩ^ა ფუნ – თხრილი, მღვიმე, გამოქვაბული.
ქაჯუჯა – მაგნაირი.
ქე – ხოლმე.
ქემურ (ქომურ) – ნახშირი.
ქენ – ნიორი.
ქეძბეს – ქეიფობა, წვეულება.
ქექ (ქოქ) – მსუქანი, ჩაფსკვნილი.
ქეჯე – მუჯე.
ქეჯუნ – ტყლაპი.
ქიზ – თექა.
ქირაჯ – კირი.
ქირმიშბეს – შეკუჩება, დალაგება.
ქისკ – ქისა, ჯიბე.
ქიშ – თლილი.
ქიშტეს – დაფრთხობა.
ქიშფეს – გათლა.
ქობარ – ბორცვი.
ქოთან – გუთანა.
ქოთიკ – მორი.
ქოლ – ბუჩქი.
ქოლ-ქოლუდ, ქოლ-ქოცი – ბუჩქნარი.
ქოდ – სახელო.
ქორ – მასე, მაგრე.
ქოსუმ (სინ. გოდორ) – გოდორი.
ქოფიტ – ჩლუნგი.
ქოქ – მსუქანი; ჯიში.
ქოქნიკ (ვ^აოხნიკ) – იდაყვი.
ქოშ^ამოტ – დაჩლუნგებული.
ქოჯ^ა – ძნელი, მიუწვდომელი.
ქულ – ხელი.
ქულაგ – ქარი.
ქულბაკ – პარკი (აბრეშუმის ჭიის).
ქულღეს – ხელის ხლება.
ქულთატეს – ხელმეწყობა.
ქულძათ – ოჯახის წევრები.
ქულქებიყეს – ხელის ჩამორთმევა.
ქუნდურუკ – საკმელი.
ქუნჯ – კუთხე.
ქურ – ორმო, ქვაბული.
ქურ – ცელქი, შეუპოვარი.
ქუქლა – ბეწვებიანი.
ქუშ^ატიკ – სარტყელი.
ქუმტონ (სინ. ხაჩპარაზ, ხაშპარაზ) – ქრისტეანი.
ღალღეს, ღ^აოღღეს – ამოლაფვა (წუმფეში).
ღანდილ (ღანზილ) – ღანძილი.
ღან – ბასრი, გაღესილი.
ღანა – ყვავი.
ღარ – ვაჟი, ბიჭი.
ღარღან – ვაჟკაცი; უშიშარი; მეღვარი.
ღაღ^აფეს – ყაყანი.
ღაჩ – შეკრული; ფუთა.
ღაჩფეს – შეკვრა.
ღე – ღღეს (აღვ.).
ღენნას (ღიბალი) – ყოველღღიურად.

ლი – ღლე.
 ღირსობ, ღირუხ – მარხვის ღლეები.
 ღიჭურდი – ღლეგამოშვებით.
 ღოლ (გოლ, გელ) – წუმფე.
 ღოლფეს – ამოლუმპვა, ამოგანგვლა, მტვერში ამოსვრა.
 ღოლ – ტყემალი.
 ღუნღულ – კრაზანა.
 ღუღ – მსხვილი, სქელი.
 ღუღბეს – მოსულიერება, გამოცოცხლება.
 ღურა – ეკალა.
 ღურუმიფეს – ღრენა.
 ღუსმე – ყველი.
 ღუჯა (ღიჯა) – ანწლი.
 ყა – ოცი.
 ყაბ – ყალბი.
 ყადალა, ყადა – სასჯელი, წამება.
 ყაზ – ბატი.
 ყაზანჯ – შემოსავალი.
 ყაზელ – ბოძი.
 ყათ – ნაკეცი; კუთხე; შუაღედი; ღროის მონაკვეთი; რაიმეს კომპლექტი (მაგ. თანსაცმლის ერთი ხელი).
 ყათბეს – ღაკეცვა, გაღაკეცვა.
 ყათბი – ღაკეცილი, გაღაკეცილი.
 ყათი – შუაში, შორის.
 ყათირ – ჯორცხენა.
 ყაირ – კრისტალი.
 ყალა – ციხე-სიმაგრე; სატუსალო, საპატიმრო.
 ყაღბთბეს – ხულიგნობა, ღანაშაული.
 ყაღბ – კალამი, სანამყენე კვირთი.
 ყაღაღ – კალა.
 ყამჩა – მათრახი.
 ყანაგაღლე – ღარბაისელი, სანღომიანი,

გამოჩენილი.
 ყანღალ – თხრილი, სანგარი, ნაპრალი.
 ყანღირმიშბეს – ჩაგონება.
 ყანწ – ყანწი.
 ყაღა – კლდე, შიშველი მწვერვალი.
 ყაღან – ცოლის ძმა.
 ყაღანბაბა – სიმამრი.
 ყარი – მშრალი, ხმელი, გამხმარი.
 ყარიბეს – გაშრობა.
 ყარმაღ – კავი, ჩანგალი, ანკესი.
 ყარღოღალი – სიმინდი.
 ყასტბეს – გაჯიუტება.
 ყაფაღ – სახურავი.
 ყაფტეს – წათაქება, თხლეშა.
 ყაყაეს – ხრჩობა, ღახრჩობა (საკუთარი).
 ყაყაფეს – ხრჩობა, ღახრჩობა (სხვისი).
 ყაყაფუნ – ერბო-კვერცხი.
 ყაჩი – მაკრატელი.
 ყაჭ – ვიწრო.
 ყაჭ – ტკივილი.
 ყაჭბეს (ყაჭფეს) – ჭყლეტვა, ღაწნეხვა.
 ყაჭფეს – ტკივილი.
 ყაჭფი – ნატკენი.
 ყერი – სხვა, უცხო.
 ყი – შიში.
 ყიბაღან, ყიბაღღან – მშიშარა.
 ყიბეს – შიშის შეგრძნება.
 ყიღესტეს – ღაშინება.
 ყიღ – თხის ბეწვი; თევზის ფხა.
 ყიღანწიფეს – წკმუტუნნი.
 ყიღულ – საშიშროება.
 ყით – ნაკლული.
 ყობი – ხრამი, კლღის პირი.

ყ^ოღა – კუ.

ყ^ოღ – ხელმოწერა, ხელწერა (სინ. ყაღ, კაღ).

ყ^ოღზაფეს – ხელმოწერა, დასტური; შეუღლება, ქორწინება (რიტუალი).

ყ^ომ – ნათესავი, მოგვარე.

ყ^ონაღ, ყ^ონახ – სტუმარი.

ყ^ონში – მეზობელი.

ყ^ონჯა – კონა.

ყ^ორ – ნაპერწკალი.

ყ^ორ – თიანჯარიანი.

ყ^ორა – მკვახე.

ყ^ორმიშბეს – მოხრაკვა.

ყ^ორულ – საძოვარი (Pl. Tant.).

ყ^ოღოტეს – ბაქიაობა.

ყ^ოყ – ყელი, საყელი (თანსაცმლის).

ყ^ოშალა – ორპირა.

ყ^ოშინ, ყ^ოში – ჯარი, ლაშქარი.

ყ^ორ, ყ^ორი – ვერძი, ყორი; მჯობნი, მძლეველი.

ყ^ოწ – კუზიანი.

ყ^ოწ-ყ^ოწ – მოკუზული.

ყ^ოჯა – ბებერი.

ყ^ოჯაბეს – დაბერება.

ყ^ოჯალულ – სიბერე.

ყ^ობურ – ქარქაში.

ყ^ოღა – მზახალი.

ყ^ოზედ – ჩრდილი.

ყ^ოზი – ბატკანი.

ყ^ოზღუნ – არწივი, ორბი.

ყ^ოვი – ჩხიკვი.

ყ^ოღ – მხარი (ანატ.).

ყ^ოღულ – სამსახური, სამუშაო.

შაღ (შაღ, შაღბაქი) – აშვებული, გამვებული, თავისუფალი.

შავატ – ლამაზი, მშვენიერი.

შ^აღ – შალი, მოსასხამი (შალის ძაფისაგან მოქსოვილი).

შამატ – კვირა, შაბათი (შამატ ლ).

შ^ამკალ – სოკო; მკვლელი.

შ^ამფეს – დაკვლა.

შ^აღ – შაური.

შ^აღნ – სველი, წყლიანი.

შ^არფეს – დახელება, დასრესა.

შ^აფტალუკ – ატამი.

შ^აჰჰარ – ქალაქი.

შელ – კარგი.

შელბეს – მკურნალობა, გამოჯამრთელება; კარგად, ხარისხიანად შესრულება.

შელლულ – სიკეთე.

შელ-შელო – საუკეთესო.

შენო, შონო – ის (ჩვ. ნაცვალ. სუბსტ.).

შედ – საგანი, ნივთი; სითხე; რაიმე, რაღაცა.

შერე, შერებაქი – დამტკნარი, გამომტკნარი.

შეტად – მისი (კუთვნ. ნაცვალ.).

შეტლოდ – მათი (კუთვნ. ნაცვალ.).

შითილ – ნერგი.

შიკლამ – ხახვი.

შიმშათ – ბზა.

შიპ – ჩუმად (აღვ.).

შიპბაქეს – ჩუმად ყოფნა; გაჩუმება, დაწყნარება.

შიპ-შიპ – ჩუმჩუმელა.

შირანგ – კოკა.

შირიყირი – აბლაუბდა.

შიტ, შიტფეს – ჩხრეკა, გამოჩხრეკა.

შიტირიკ – შეტიჩარა.

შიქათ – საჩივარი, ჩივილი; განცხადება.

შიორ – ცხიმმოხდილი ყველი; იმწამს (აღვ.).

შოღღ – წურწურით.
შოშ – რტო.
შ^ეე (შ^ეეე) – დათვი.
შ^ეეებ (შ^ეეეებ) – კამა.
შულ (სინ. **თულქი**) – მეღია.
შ^ეემ – პური.
შ^ეემაკ – ღედალი.
შუ – ღამე.
შუ? – ვინ? **შუ-შუ?** ვინღავინ?
შუქ – სინათლე; სხივი.
შუშ – მინა.
შერო – შერია.
ჩალ – ღობე.
ჩალი – თევზი.
ჩანჩან – ნისლი, ბურუსი.
ჩარ – ცელქი.
ჩარწყ – მწვალი.
ჩარწყებს – შეწვა.
ჩარტკალ – მშვილდი.
ჩაფ – დაორთქლილი; სოკოთი დაავადებული.
ჩაფ – ელამი.
ჩაფეს – ამოვლება, გავლება (მაგ., ჩურჩხელის).
ჩაქმ – ჩექმა.
ჩახ – ცივი, სიცივე; ყინული.
ჩახბიყეს – გაცივება.
ჩახფეს (ჩახბეს) – წველა, მოწველა (ძროხის, კამეჩის); ძლევა, გამარჯვება.
ჩ^ახფეს – დაბიჯება, ფეხის დაღმა; შეღგომა, დატყეპნა.
ჩერ – ფიჭა.
ჩიგლამ – ძონძი.
ჩილ – მძივი.
ჩო, ჩ^ო – სახე, პირსახე (ანატ.); მიმართულება; ნაღები; ზედაპირი.

ჩოვალ – ბელურა.
ჩოკტეს – დაჩოქვა.
ჩოკტი – დაჩოქილი, მუხლ-მოხრილი.
ჩოლყ – ხეიბარი.
ჩოლი – გარეთ, სხვაგან.
ჩ^ოლლ – ზემოთ, ზედაპირზე (აღვ.).
ჩოლჩი – გადამთიელი, უცხო.
ჩ^ომობ – კარი, კარები (Pl. Tant.).
ჩოფსაქეს – კენჭისყრა.
ჩუბუხ – ქალი, მანდილოსანი (Pl. Tant.); **ჩუბყობ** (მრ.).
ჩუ – სოლი.
ჩ^უ, ჩ^უკუნ – ფურთხი.
ჩუთ – წყვილი.
ჩურ – ძროხა.
ჩურფეს – ღგომა.
ჩურფი – მღგომი, ფეხმღგომელა.
ჩ^უხეს – შეძვრომა.
ჩ^უხტეს – შეყოფა, შეტენვა, შეჭრა, შერჭობა.
ჩხარკეს – გაღარჩენა; მოთავება.
ცამ – ნაწერი.
ცამღეს – დასუსხვა, დაშუშხვა.
ცამეს – ჩაწერა.
ცამფეს – დაწერა, ჩაწერა.
ცამფი – დაწერილი; ჭრელი. ჟუჟუნა.
ცაფეს – გათიბვა; **ცაფი** – გათიბული.
ცაც – ეკალი.
ცაცბაფთი – ეკლიანი, ეკალმორეული [აღვილი].
ცაცბელ^ალ – ზღარბი.
ცეც – ჩრჩილი.
ციბეს – ჩამოყრა, დაყრა.
ცივარ – ნალექი.
ცივარუნ – ნალექიანი ამინდი.

ცილ – თესლი.
 ცინა – ქვევით; დასავლეთით (აღვ.).
 ცირი – ჩამოსული.
 ციეს – ჩამოსვლა.
 ცილლო – ჩამომსვლელი.
 ციციკ – გვიგინი; ყვავილი; “ჩუტყვავილა” (დაავ.).
 ცუნარი! – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
 წაბულ – წაბლი.
 წაველს – ბრჭვიალი, ლაჟღაჟი, ბზინვა.
 წან – კურკა, თესლი; ჭიპი (სინ. ბუქუნუნ).
 წანთარო – ქონდარი.
 წეთ – ზეთი.
 წეწეფს – გაწეწვა, აჩეჩვა (თმის, მატყლის).
 წი – სახელი; ტიტული.
 წიალა – სახელგანთქმული.
 წილ – ნაკვერჩხალი.
 წიმერი – წმინდა ადგილი; ღმრთისმშობლის სახელზე ნაკურთხი ეკლესია; ღელათა მონასტერყ; მსხვერპშეწირვის ადგილი.
 წინდაკ – წინდა.
 წირიკ – წიწილა.
 წილამპურ – მხალი.
 წინ^ც – ციყვი.
 წორო – ნაჟური.
 წორობეს – გაწურვა.
 წოროკ, წოროკ-წოროკ – წვეთ-წვეთი.
 წორილი – ჩამონადენი, ნაჟური, ჩამონალვენთი.
 წოლ^ც – გალუმპული.
 ჭპგი – გვიან.
 ჭაკფეს – გამორჩევა, ცაღ-ცაღკე წარმორენა; გარჩევა (ბრინჯის, ლობიოს და ა.შ.; საქმის); არჩევა, არჩევნები.
 ჭაკაფეს – დანაყვა, დაროშვა; დარბევა, დაბეგვა.

ჭალ – მოწნული ლობე.
 ჭპლზგ – ტყე, ჭალა.
 ჭპმეცი – ამომჭკნარი.
 ჭპმჭპმეცი – გამოდარებული, გამონათებული.
 ჭპნწ – თავაშვებულობა.
 ჭპნ – კარაქი, ცხიმი.
 ჭპპ – ვაზი; დამალული; ჩამქრალი.
 ჭპპალ (სინ. ჩრქილ) – თუთის ხე.
 ჭპპბეს – დამალვა, ჩაქრობა.
 ჭპპკაწეფს – ვაზის გასხვლა.
 ჭპპკინ – მალულად (აღვ.).
 ჭპპლულ – გენახი.
 ჭპდი – მჭადი.
 ჭპღ – ნეკნი.
 ჭპაჭი – შაშვი.
 ჭპხ – მეხი.
 ჭებაქეს – გადასვლა.
 ჭებაქესტეს – გადაყვანა.
 ჭევეკეს – გაგდება.
 ჭემ – ჭუჭყი.
 ჭემენ – ჭუჭყიანი.
 ჭერი – გამოსული.
 ჭებტ – მატლი.
 ჭეფეს – გამოყრა.
 ჭეფუნ – გამონაყარი.
 ჭელეს – გამოსვლა.
 ჭეჭპ – ჭაჭა.
 ჭიგეს – გარეკვა; ტარება, მართვა (მანქანის).
 ჭიკ – ტოტი, შტო, რტო.
 ჭიჭიფეს – წვა.
 ჭორნი – გამხდარი.
 ჭოტ – ნაპირი.
 ჭოჭა – წითელი, ალისფერი.

ჭოჭაბაქეს – გაწითლება, ალუწვა.
ჭოჭოლ – ბავშვი, ბიჭი.
ჭუმპალაყბეს – ჭყუმპალაობა.
ჭუმ-ჭუპლაც – შიშველ-ტიტველი.
ჭუპლაც – შიშველი, ცარიელ-ტარიელი.
ჭუპლაცბეს – გაშიშველება.
ჭურ – ხვეული, დახვეული, დაგრეხილი.
ჭურღეს – დახვევა.
ჭურუმფეს – დაგრეხა; გაზმორვა (**ჭურუმეს**).
ჭუჭუფეს – ზელვა.
ხა – ძაბული.
ხა – ძაბული.
ხაბარ – ამბავი.
ხაბარაყეს – შეკითხვა.
ხაბარბეს – შეტყობინება.
ხაზალ – ფოთოლი.
ხაზბეს – დახაზვა, გახაზვა.
ხათა – ხიფათი.
ხათირ – ხათრი.
ხათირბეს – დათმობა.
ხალა – დეიდა; ჩანგალი, ფიწალი.
ხალღეს – ცოხნა.
ხალიკ – ბიძა (დედის მხრიდან).
ხამ – გაუხედავი, მოუთვინიერებელი.
ხანა – რცხილა.
ხანჩალ – ხანჯალი, ბასრი იარაღი, ორლესული.
ხარაბ – ფუჭი, გაფუჭებული; წამნდარი, უსარისხო.
ხარაბაქი – ზნედაცემული, ნამუსახილი.
ხარაბა – შეხვედრის ადგილი, თავშეყრის ადგილი.
ხარაგ – გროვა, ზვინი.
ხარბიყი (ჯარბიყი) – ჩამაქრული.
ხართ (ჯართ) – სალესი, სახეხი ქვა.

ხარი (ჯარი) – ფქვილი.
ხარფეს – გახეხვა.
ხარფუნ (ჯარფუნ) – ნაფხვენი.
ხაფლუ – ჯიქური.
ხაშ – სინათლე, ნათელი (რელიგ.); თვე; მთვარე; ცომის საფუარი (სინ. **აფნ**); ხაში.
ხაშაბა – ნათლიმამა.
ხაშილ – ფაფა; ლომი.
ხაშიხო-ხაში – თვიდან-თვემდე.
ხაშლაშიშბეს – დახარჯვა, გაფლანგვა.
ხაშბითეს – გათენება.
ხაშნანა – ნათლიდედა.
ხაშპარაზ (ხაჩპარაზ) – ქრისტიანი; მართლმადიდებელი (ვ.).
ხაშტეს – მონათვლა.
ხაჩ – ჯვარი.
ხაჩაჩა – გატეხილი.
ხაჩაფეს – გატეხვა.
ხახ (ხალხ) – ხალხი.
ხაჯაღათ – რიდი, სირცხვილი.
ხაჯაღ – ჯოხი.
ხე – წყალი.
ხემა – თხევადი.
ხემაქეს – დნობა (თოვლის).
ხეხეს – მონელება, გადნობა.
ხეგარ – წყალგარეული; მღვრიე წყალი.
ხეგარ – ხეირი.
ხელლახ (ხეღლახ) – შესამჩნევად, ბლომად.
ხელ – ტვირთი, ტვირთამწეობა.
ხელბეს – დატვირთვა, აკილება.
ხენეზა – მწყურვალი.
ხიბ – ხაში.
ხიბშამათ – სამშაბათი.

ნიბუჭურა – სამნაირი.
ნინარ – ქალიშვილი.
ნიტიკისტეს – ლიტინი.
ნო (სინ. **კა**) – თრთვილი, ნამე.
ნო – ცური.
ნოღ – ხე.
ნოზამანდ – მაჭანკალი, შუამავალი, ქალის მთხოვნელი.
ნონჩა – ძღვენი.
ნოდ (ნ.) – საგვარეულო, შთამომავლობა, მოღმა.
ნორაგ – ცხელი საჭმელი.
ნორიკ – ცაცხვი.
ნომ – ნება.
ნომბეს – ხვეწნა, შეხვეწება.
ნომკარ – ქატო.
ნოჯი – ჩრდილი.
ნუნი – დედალი (სინ. **შუმაკ**).
ნუნჩი – და; **ნუნჩი-ვიჩი** – და-ძმა.
ნუპ (**ნუფ**) – ფლავი.
ნურნიკ – ხურმა.
ნურუ – წვრილი; ხურდა.
ნურუბეს – დამტკრევა, გატეხვა; დახურდავება (ფულის).
ნურუფეს – ხვრინვა.
ნურ-ნურუ – წვრილ-წვრილი.
ნაბუნ – ვარსკლავი, ციური მნათობი.
ნაღღეს – ცოხნა.
ნაღ – ღია, გახსნილი, გაშლილი.
ნადაქეს – მიბრუნება, უკან წამოსვლა.
ნაღეს – გამლა, გაშიშვლება.
ნაღუნ – შიშველი ადგილი.
ნაღფეს – გაღება, გახსნა.
ნაღ-ნაღეს – გადაწმენდა (ცის).
ნარ – ნაფხვენი, ფხვნილი.
ნარბიყი – ჩამაქრული (იხ. **ნარბიყი**).
ნარბუზ (**ნარბუზ**) – საზამთვრო.
ნართ – სალესავი ქვა (იხ. **ნართ**).
ნარი – ფქვილი (იხ. **ნარი**).
ნარფეს (სინ. **ნარფეს**) – ქლიბვა, კაწვრა, ღარვა, ხეხვა.
ნარხ (**ნარხ**) – ჩარხი.
ნარხეს – ცხოვრება (იხ. **ქარხეს**).
ნაღზ – ქალაღი.
ნაჩ (სინ. **ნაშ**) – მთვარე.
ნაშფეს – კბენა, კბეჩა.
ნაღა – მაკე, ფეხმძიმე.
ნაი, ნაიო – ნახევარი.
ნაიბი – გაპობილი, გაჩეხილი.
ნაიბეს – გაპობა, გაჩეხვა.
ნაო – ხუთი.
ნაოლ – ქერქი, ტყავი, ქანი.
ნაოლოღ – შარვალი, ტანისამოსი.
ნაომ – უკან.
ნაომამათ – ხუთშაბათი.
ნაონლა – კვერცხი.
ნაონ (**ნაონ**) – ხველა.
ნაონნიკ – იდაყვი.
ნაონფეს (**ნაონფეს**) – ხველება.
ნაულ (**ნაულ**) – ბარძაყი, კიღური, მხარი.
ნაურ – ჭირი, ღახვარი.
ნაან! – იცოცხლე! ჭირიმე!
ნააღ – ჯაღო; ჰიჰნოზი, შეგონება.
ნააღუბეს – მოხიბლვა.
ნააღაღბეს – გადაბმა.
ნააღაღბი – გადაბმული.
ნააღლა – დამყნობილი; ნამყენი ნერგი.

ჯაღლაბეს – დამყნობა.
ჯანაყარ (სინ. **ულ**) – მგელი.
ჯანლუ – ჯანიანი, ღონიერი.
ჯანსუზ – დასუსტებული, უღონო.
ჯარეს – წვა, ხრაკვა, დასუსხვა.
ჯარღეს – მოწვა, მოტრუსვა, დასუსხვა.
ჯარჯი – ჯაგი.
ჯაჰმათ – ხალხი, კრება, სამსჯავრო.
ჯაჰილ – ნორჩი, ახალგაზრდა, მოზარდი, ყმაწვილი.
ჯეღზ – მზითვი.
ჯეჯერ – ტუჩი.
ჯეგარ – გულ-ღვიძლი, ახლობელი, განუყოფელი.
ჯიღვ – მოღმა.
ჯირ – თვითნაბადი (ბუნებრივი წარმოშობის).
ჯირტატ – კელა.
ჯირლოლ (**ლოლ**) – ტყემალი.
ჯიპირ (**ჯუჭურ**) – შველი.
ჯოკ – ცალკე.
ჯოკ-ჯოკ – ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ, ნაკუწ-ნაკუწ.
ჯოკბაქეს – გამოყოფა.
ჯოკბეს – გაყოფა, დაყოფა.
კოლაკ – ობობა.
ჯუბ (**ჯუმ**, **ჯებ**) – ჯიბე.
ჯურაბჯურა – ნაირ-ნაირი.
ჯუუტ (**ჯუუდ**) – იუდა; იუდეველი, ებრაელი; ჯიუტი.
ჯუფეს – გადახტომა.
ჯენჯელ – შეუვალი.
ჰაბურ – ზრდილობა, ღირსება.
ჰავა – ჰაერი, კლიმატი, ჰავა.
ჰავალაბაქეს – დამგერება.
ჰავალუ – თავქარიანი; აგრესიული.
ჰვეგ – ხურჯინი.
ჰვეჭ – ქინძი.
ჰაზარ – ათასი.
ჰაზირ – გამზადებული.
ჰაზირბეს – მომზადება.
ჰაზირელ – ყოჩალი, ცოცხალი, მკვირცხლი, მომზადებული.
ჰალ – სული, პულსი.
ჰალა (**ჰალა**) – ჯერ, კიდე.
ჰალაქი – ჯერჯერობით, ჯერ კიდე.
ჰამ – თანაც.
ჰამბალ – მონა.
ჰამბარ – გროვა.
ჰამერ – ასე, ეგრე.
ჰამმაშა (**ჰამმაშა**) – ყოველთვის, სულ, მუდმივად.
ჰანჯალ – მუღამ.
ჰაბაზ – მარეკი.
ჰა-ჰარა – ნაუცბათევი.
ჰარ – ყოველი, ნებისმიერი.
ჰარაშ – ირგვლივ, ყოველმხრივ.
ჰარა – ყვირილი; **ჰარა-ჰურა** – ყიჟინა.
ჰარაქათ – ჩოქოლი, აჩქარება.
ჰარაბ – მუქარა.
ჰარსა – თითოეული.
ჰარსაჯურა – ყოველნაირი.
ჰასირათ – ნატრული.
ჰასო – ღრუბელი.
ჰატე – ის.
ჰატერ – ისე.
ჰაქა – მანდ, ემანდ.
ჰაქანო – ეგ (სუბსტ.).
ჰაქორ – მასე, მაგრე, მაგ გზით (ადვ.).
ჰაყელ – ჭკუა, მოსაზრება.

ჰაყულუ – საზრიანი, ჭკვიანი, ნიჭიერი.

ჰაშონო – აგერ ის, ის.

ჰაშორ – ის ერა, სხვათა შორის; უფასოდ.

ჰაჩ – გირჩა.

ჰაჩა – ბოძი, სარი.

ჰაჩალა – შამპური.

ჰაჩარ – გასაღები.

ჰაჯ – გადასახადი, ხარკი; ტყვილუბრალოდ, გაუმართლებლად (სინ. **ნაჰაჯ**).

ჰაჯან! – ბატონო! გენაცვალე!

ჰე – რაღაცა.

ჰესაბ – ანგარიში; **ჰესაბეს** – გაანგარიშება.

ჰეჭ (ჰერ) – უიძელო ცდა.

ჰინტ – ინლაური.

ჰოუზ – ჭა (წყლის).

ჰოქმათ – სახელმწიფო.

ჰერჯუტიკ – ჭორიკანა.

სიტყვათა საძიებელი (ინლექსი)

აბლაუბდა –ღორიძორი	აკილება –ხელბეს
აბლაუბდა –ურდან-ბურდან	აკრეფა –გირბეს
აბლაუბდა –შირიყირი	ალალი –დოღმა
აგება – ბიყეს	ალეწვა –ჭოჭაბაქეს
აგება –სერბეს	ალი – არუს
აგება – ფარგარბეს	ალი –ძალულ
აგერ ის –ჰაშონო	ალისფერი –ჭოჭა
აგერ! – აჰა!	ალოო – ზანდ
აგრესიული –ჰავალუ	ამ წელს – ეფსენ
ადამიანი–ადამარ, ამდარ (ბ.)	ამალამ –მეშუ
ადგილი –გა	ამბავი –ხაბარ
ადგილნაცვალი – გაღმპ	ამდენი –მემმა
ადგომა – ადზეს	ამნაირად –მეჯაურა
ადვილად მოსაგვარებელი –ოღანდ	ამობრუნებული – თარა
ადვილი –ონარი	ამობურცული – ზილ-ზილ
ადულება –ჟ ალდეს	ამოგანგვლა – ღოღფეს
ავად განდომა–აზარუბაქეს	ამოვლება – ჩაფეს
ავადმყოფობა –აზარ	ამოვსება – დაფფეს,ამბეს
ავარდნილი –ფურ	ამოლაფვა (წუმფეში) –ღ ალფეს, ღოღფეს
ავი – ძავა	ამოლევა – დაფფეს,ამბეს
ავი სული –ქავთარ-ქუსტი	ამოლუმპვა – ღოღფეს
ავსება –ბუბბეს	ამომჭკნარი –ჭამეცი
ავხორცი –მურდალ	ამონაბურცი –ტიყ, კოპკალ
აზრი –ზანდ	ამოჟლეტა –კაწბეს
ათასი –ჰაზარ	ამუშავება – ფარგარბეს
ათი – ვიწ	ამღვრეული – ლაგარ
აირი – ჟუ სივრცე აირისთვის –ჟუ	ან –მე
აკვანი –ლოღოც	ანაფორა –ფელუმ
აკვნის ლეიბი –პეპ	ანგარიში – ჰესაბ
აკილება –ასაფეს	ანგელოზი –ძარიშტა

ანდაზა – მასწავლებელი	აუფუარი ცომი – დასუ
ანკარა – აწარ	აფეთქება – ღონღეს
ანკარა (გველი) – თომწო	აქ – მიდა, მდა, მია
ანკესი – ყარმაღ	აქედან – მეღან, მეღინ
ანსამბლი – ღვს	აქეთ – მაღა
ანწლი – ლუჯა, ლიჯა	აქეთ-იქეთ – ტალა-მაღა
არ (უარყ. ნაწ.) – მა, მჰ	აქლემი – ბუშ
არა – თე	აღდგომა – აფხეს
არა – ნუთ, ნუტ, თე	აღდგომა – ანწიმა, აღსიბად(ნ.)
არაღა – ამა (ამმა)	აღება – აყეს
არავითარ შემთხვევაში – ნანე	აღზნებული – ვარ
არაფერი – იმან	აღზრდა – რგუთ
არაყი – მაწი ხე	აღმოჩენა – ბელ აბეს
არევ-ღარევა – ჟ ილ, ჟილ, ჟ ალ	აღრევა – ჟ ილფეს
არეული – გპრ	აღქმა – აყეს
არეული – ლგპრ	აღქმა – იხბეს
არსად – მაკალა	აშენება – ბიყეს
არსებობა – ბაქეს	აშეებული – შაად, შად, შადბაქი
არჩევა – ჭაკაფეს	არჩევა (თმის, მატყლის) – წეწეფეს
არჩევნები – ჭაკაფეს	არქარება – ა ქტეს
არწივი – ყუზღუნ	არქარება – ქაფეს
ასაკი – დაშ	არქარება – ჰპრპქათ
ასე – მერ	არქარებული – ქაფ
ასე – მეფეურა	აცეება – მიბეს
ასე – ქორ	აცოცება – ლა[მ]ეს
ასე – ჰამერ	აწონვა – უსკეს
ასე – ჰაქორ	აწყობა – ფპრპრბეს
ასვლა – ლა[მ]ეს	ახალგაზრდა – ჯჰპილ
ასი – ბარ	ახალი – თჰზ
ასხლეტა – ჟურტეს	ახალი – ინი
ასხმა – ლავკეს	ახვევა – ა ლესუნ
ატამი – შ ატალუკ	ახლობელი – ჯგიპრ
აუზი – ბანდ	ახლო-მანლო – იშ ა-მიშ ა

ახლოს – იშ ^ა	ბგერა – სწს
ახო – ავ ^{უნ}	ბებერი – ყოფა
ავგანყება – ჟ ^ი ილფეს	ბებია – ტატი, ქალ-ნანა
აჰ! – აა! ააჰ! აჰ!	ბეგვა – ტაპეს
აჰა! – აჰა!	ბელი – ბახტ
ბაბუა – ქალბაბა, ქალბაბა	ბელისწერა – ავჯალ
ბადრიჯანი – პატომჯან, პატუმჯან	ბელობა – ვაჩა
ბავშვი – ჭოჭოლ	ბელუკუმარტი – თურაკალ
ბავშვი – შველ, ა ^ე იელ, აიელ	ბევრი – ბოლ
ბალახი – ილ, ო	ბევრი – გოლ ^რ (ვ), გელე(ნ.)
ბალახიანი ადგილი – ოვა	ბერტყვა – ტაპეს
ბალი – ბად	ბერწი – შმწრიკ
ბალიში – ბერ	ბელურა – ჩოვალ
ბანაობა – ოწკალფეს	ბეწვებიანი – ქუქლა
ბანი (სასიმღერო) – ღმ	ბეწვიანი მოსასხამი – ძატუნჯი
ბანჯგვლიანი – ფოფლა	ბეჭელი – ბობოჩ ^ა ლ
ბარაქიანი – ოლურ, ოლურ ^რ	ბეჭი – ბაჭ ^{ან}
ბარდი – მოშ, მოჩ	ბზა – შიმშთ
ბარი – ბელულ	ბზინვა – წა ^ვ ჯღეს
ბარკალი – ბუღ	ბზობა – ზარაზამთ ^რ
ბარტყი – ბალა	ბიბილო (ფრინველის) – ბიბიკ
ბარძაყი – ვულ, ყულ	ბილიკი – გათურ
ბასრი – ლაძნ	ბილიკი – ირიზ
ბასრი იარაღი – ხანჩალ	ბილიკი – ლიკ ^პ
ბატი – ყაზ	ბინდბუნდი – ინგირ-ინგირ
ბატკანი – ყუზი	ბინდ-ბუნდი – ურუმ-ურუმ
ბატონი – ბავ	ბიცოლა – მამილ
ბატონო! გენაცვალე! – ჰავჯან!	ბიძა (დეღის მხრიდან) – ხალიკ
